ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## კახა კალაძე: „მთელი ღამე ვფიქრობდი, რატომ?“



გვ.2

**17 დეკემბრიდან**

ოტია იოსელიანი

**მუხლებზე დაწერილი და მტრედებს გამოტანებული ბარათები**

**ფასი გაზეთთან ერთად 9,5 ლარი**



ხუთშაბათი, 19 დეკემბერი, 2019 | №300 (8254) | ფასი: 60 თეთრი

# ამ ცხოვრების დედაც!

## 15 წლის ლუკა სირაძე შველას ითხოვდა

„სკოლას პოლიციისთვის არ უნდა მიემართა“





გვ.4

**ვერიკო გოჯიაშვილი:** „მას ყველაფერი ერთად დაატყდა თავს – მამის სიკვდილი, სკოლის შეცვლა, გარდატეხის ასაკი“

## „მარიანა ჩოლოიანს კონტაქტი უჭირს და ნევროზული ფონი აქვს“

„მწვანე სკოლამ“ პოლიციას მტკიცებულებები და ამოღებული ვიდეოკადრები დაახვედრა“

გვ.5



**კახა კოჟორიძე: „მარიანა ჩოლოიანი ყინწვისის სპეცოპერაციის საქმეშიც ფიგურირებს“**



გვ.5

გვ.2



**გედევან ფოფხაძე: „გახარიამ დასჯა თავისი თავიდან დაიწყოს!“**

**ბიძინა გუჯაბიძე: „სკოლებში ფსიქოლოგებისა და მოძღვრების ყოფნაა აუცილებელი“**

გვ.4







**ზაზა ხატიაშვილი: „პოლიციელი, რომელიც სააკაშვილს გავაგდებინე, ღარიბაშვილმა დააწინაურა“**

„რაც რამე უბედურება ხდება, ყველაფერი პროკურატურის ბრალია“

გვ.3

**დავით ბერძენიშვილი: „ოცნებას“ საკრებულოშიც და პარლამენტშიც რუსული ჟანგი ძალიან მოედო“**



ISSN 1987-9385

**5** დავით ქაცარავას ბრალი წაუყენეს

**2** ერეკლე კუხიანიძემ ცხინვალში ჩასვლა ცადა, მაგრამ მავთულხლართებში გაიჭედა

**5** ბათუმში 23 წლის ნიკუშა ბუაძემ თავი მოიკლა „იმიტომ, რომ ბინა გაუყიდეს“

**6** საბერძნეთი 10.000 ლტოლვილის თურქეთში დეპორტაციას გეგმავს

# გედევან ფოფხაძე: „გახარიამ დასჯა თავისი თავიდან დაიწყოს!“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.



***– ბატონო გედევან, 15 წლის მოზარდის ტრაგედიასთან დაკავშირებით უნდა გკითხოთ. პრემიერი გახარია აცხადებს, ყველა უმკაცრესად დაისჯება. გვიან ხომ არ არის?***

– პრემიერმა მაშინ თავისი თავიდან დაიწყოს! როდესაც მე მევალება, ამ ყველაფერზე მე ვარ პასუხისმგებელი, ცოტა უხერხულია. როდესაც გიორგი გახარია იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, საკადრო რეფორმა არ ჩატარებულა სისტემაში. როდესაც სისტემური არ არის პრობლემა, მაშინ რეციდივიც არ არის. სისტემურმა პრობლემამ უკვე ტრაგედიებში იჩინა თავი.

დღეს, იმ ადამიანური ტრაგედიიდან გამომდინარე, რომელშიც ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრი იმყოფება, საკუთარი თავისთვის მოგვიწევს კითხვის დასმა – რატომ ხდება ეს? იურიდიული კომიტეტის სხდომაზე სრულიად შეგნებულად არ ავყევი ჩემს კოლეგებს, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით ამბობდნენ, კითხვები არ უნდა დაგვრჩესო! კითხვები არ უნდა დაგვრჩეს და ამაში სადავო არაფერია, მაგრამ, პრობლემა ის არის, რა მიმართულებით იქნება ეს კითხვები და რა ტემპებში მივიღებთ პასუხებს. მხოლოდ კონკრეტულ გამომძიებელზე გადატყდება ჯოხი თუ მართლა ვაღიარებთ იმას, რომ იგივე სისტემა დავტოვეთ და არაფერი გავაკეთეთ ამ სისტემის შესაცვლელად! არაფერი გავაკეთეთ იმ სისტემის თანამშრომლების შესაცვლელად. პირიქით, ეს ადამიანები დავტოვეთ, რომლებსაც ვადანაშაულებდით ადამიანის უფლებების სისტემურ დარღვევაში. ეს ადამიანები ფიქრობენ, იმიტომ დაგვტოვა ხელისუფლებამ სისტემაში, რომ უნდათ, იგივე ვაკეთოთ, მაგალითად, ჩვენება ავიღოთ ისე, როგორც ამას მაშინ ვაკეთებდითო. ამ ყველაფრის ლოგიკაც ეს არის: მაშინ ცუდ საქმეებს აკეთებდნენ, დღეს კარგს აკეთებენ!

***– რით უნდა გამოიხატოს ამ შემთხვევაში ხელისუფლების პასუხისმგებლობა, რომ ასეთი ტრაგედიები არ განმეორდეს?***

– არავის უნდა იმის აღიარება, რომ ქვეყანაში სისტემური პრობლემა არსებობს და ამიტომ გვაქვს ასეთი ტრაგიკული რეციდივი. არავის უნდა იმის აღიარება, რომ პარლამენტი თავის ფუნქციას, მაკონტროლებლის ფუნქციას ვერ ასრულებს. ჩემი ბრალიც არის, მე, როგორც პარლამენტის წევრი, ვამბობ ამას, პარლამენტი არ არის მოწოდების სიმაღლეზე. არც ერთ აღმასრულებელ სისტემას არ ეშინია პარლამენტის, როგორც მაკონტროლებლის!

***– პრემიერის პარლამენტში დაბარებას ეთანხმებით?***

– დიახ, უნდა მოხდეს დაბარება, გახარიამ არ უნდა გადააბრალოს ეს ტრაგედია ვიღაცას. ბავშვს თვალი ამოსთხარეს, არაფერ შუაში იყო, ახლა ბავშვმა თავი მოიკლა, კიდევ არაფერ შუაშია. უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და უნდა თქვას, რომ სისტემაში რეფორმა არ ჩატარებულა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრები არ გადამზადებულან, კადრები მზად არ არიან იმ გამოწვევების წინაშე, რაც თუნდაც ცოტა ხნის წინ რუსთაველზე ხდებოდა.

***– გომელაურის პასუხისმგებლობაზე რას იტყვით?***

– გომელაური ახალი მისულია სისტემაში, ამიტომ მე აქცენტი უფრო ყოფილ მინისტრზე მექნებოდა.

***– ბოლო დროს ძალიან მძიმე პროცესები მიეწყო ერთმანეთს. როგორ ფიქრობთ, რატომ დგას ხელისუფლება ყოველდღე პოლიტიკური გამოწვევის წინაშე?***

– ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ის არის, რომ ხელისუფლებას პოზიტიური დღის წესრიგი არ აქვს. ვერ იტყვის „ქართული ოცნება“, ახალი მოსული ვარ და ამისთვის დრო მჭირდება. პირველი მოწვევის პარლამენტს კიდევ ჰქონდა პოლიტიკური რესურსი, რომ 9 წელსა და სააკაშვილის რეჟიმის მოშორებაზე ელაპარაკა. მეორე მოწვევის პარლამენტს რეალური პრობლემა დაუდგა პოზიტიური დღის წესრიგის შექმნასთან დაკავშირებით. დასაქმებული მოქალაქეები, შემცირებული სიღარიბე, ეკონომიკური ზრდა, ეს უნდა ეგრძნო და დაენახა ხალხს. ამის ნაცვლად რას ვხედავთ, ადამიანები სანაგვე ურნებში ეძებენ საჭმელს. ინსტიტუციონალური განვითარება უნდა ეგრძნო ხალხს, უკეთესი ცხოვრება უნდა ეგრძნო ხალხს ყოფით დონეზე და არა სააკაშვილის მოსამართლეებისა და პროკურორების დაწინაურება.

***– ფაქტია, რომ ხელისუფლებას მაინც უწევს რეაგირება. მიუხედავად იმისა, რომ კობახიძე არ აპირებდა გადადგომას, გადადგა. არ აპირებდა კუხიანიძე არსად წასვლას, „ოცნებას“ მაინც მოუხდა ამის გაკეთება. რატომ აგვიანებს, ადეკვატურად ვერ აფასებს პროცესებს?***

– ესეც თავისებური პოლიტიკაა. კობახიძე რომ გადადგა, რა შეიცვალა ამით?! არც არაფერი. კობახიძე ახლა თალაკვაძეზე უფრო დიდი გონორით გველაპარაკება, მიუხედავად იმისა, რომ აღარ არის პარლამენტის თავმჯდომარე. პირობა, რომელიც მიიღო ხალხმა ქვეყნის შიგნით თუ გარეთ პროპორციულ არჩევნებთან დაკავშირებით, შარშანდელი თოვლივით გაქრა. ასეთ სატყუარებს, ასეთ შეურაცხყოფას ვერ იტანს ხალხი. ვერ იტანს წარმოდგენებს, რომელიც დაიდგა, ვერ იტანს იმიტომ, რომ შეურაცხმყოფელია! ან რა ჰქვია იმას, რომ ბავშვის სიკვდილის შემდეგ აკავებ გამომძიებელს?! ან რა იყო კუხიანიძის საქციელი, როდესაც შენს გასაკეთებელს ვერ აკეთებ, ვერ იცავ შენს მოქალაქეს და რაღაც გზებს ეძებ აქედან გამოსასვლელად!

იმ ფონზე, როდესაც „ქართული ოცნება“ შეცდომას შეცდომაზე უშვებს, სავსებით ბუნებრივია პროტესტი, რომელიც ადამიანებში არსებობს. ქვეყანა ღრმა გაჭირვებაშია და ამ გაჭირვებას ხელისუფლება კიდევ უფრო უწყობს ხელს.

# საია ვახტანგ გომელაურისა და ნინო ცაციაშვილის გადადგომას ითხოვს



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურისა და მისი მოადგილის ნინო ცაციაშვილის თანამდებობიდან დაუყოვნებლივ გადადგომას მოითხოვს.

ამის შესახებ საია-ს თავმჯდომარე სულხან სალაძემ გუშინ, 18 დეკემბერს, გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისივე განმარტებით, პოლიტიკური პასუხისმგებლობა პოლიციის განყოფილებაში ლუკა სირაძესთან დაკავშირებით მომხდარ დანაშაულზე სწორედ მათ ეკისრებათ.

– იმ მასალებით, რომელთაც ჩვენი ადვოკატი გაეცნო, გვინდა აღვნიშნოთ, რომ არასრულწლოვანზე ზეწოლას პოლიციის კიდევ მინიმუმ 3 თანამშრომელი ახორციელებდა, რომელთა ვინაობაც დადგენილი არ არის.

ასევე დასტურდება, რომ ბავშვი პოლიციის განყოფილებაში მშობლის გარეშე დროის სხვადასხვა მონაკვეთში მხოლოდ პოლიციის თანამშრომელთა გარემოცვაში რამდენჯერმე დარჩა. მათ შორის ბავშვს ცალკე ესაუბრებოდა ამავე განყოფილების უფროსის მოადგილე.

აღსანიშნავია, რომ 15 დეკემბერს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო ცაციაშვილი საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ბავშვის განცალკევებით გამოკითხვასა და მასზე პოლიციის განყოფილებაში განხორციელებულ ზეწოლის ფაქტს უარყოფდა. თუმცა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ პოლიტიკური პასუხისმგებლობა პოლიციის განყოფილებაში მომხდარ დანაშაულზე შინაგან საქმეთა მინისტრს და მის მოადგილეს ნინო ცაციაშვილს ეკისრება.

საია მოითხოვს, რომ მათ დაუყოვნებლივ დატოვონ დაკავებული თანამდებობები, – განაცხადა სულხან სალაძემ.

# კახა დავითური: „რომ მცოდნოდა, ეს მოხდებოდა, „მწვანე სკოლა“ სულ რომ დაეწვათ, პატრულს არ გამოვიძახებდი“



– ჩვენი ინტერესია, რაც შეიძლება მალე დასრულდეს გამოძიება, – ამის შესახებ ჟურნალისტებს „მწვანე სკოლის“ დირექტორმა კახა დავითურმა განუცხადა.

მისივე თქმით, გარდაცვლილი მოზარდის მეგობრების სულიერი მდგომარეობა მძიმეა.

– ვადასტურებ იმას, რომ მისი კლასელების მდგომარეობა იყო და არის ძალიან რთული. მოსწავლეები განიცდიან ამ ამბავს, ლუკა იყო მათი მეგობარი და ისევე, როგორც ჩვენთვის, მათთვის არის მძიმე. ყველა მოსწავლის შესახებ, მათი სულიერი მდგომარეობის შესახებ, სკოლის ფსიქოლოგის სამსახური საქმის კურსშია, – განაცხადა კახა დავითურმა.

ჟურნალისტის კითხვაზე, გრძნობს თუ არა სკოლა პასუხისმგებლობას მომხდართან დაკავშირებით, დირექტორმა უპასუხა, რომ „ისევე, როგორც საზოგადოება, სკოლა გრძნობს პასუხისმგებლობას იმ მიმართულებით, რომ შესაძლოა, ბავშვების სულიერი მდგომარეობა გამოგვეპაროს“.

– თუ იმას გულისხმობთ, რომ 112-ში დავრეკეთ, როდესაც ჩვენ ვნახეთ დაზიანებული სკოლა და უცხო ადამიანი სკოლის ტერიტორიაზე შემოსული, ვალდებულება გვქონდა, პატრულისთვის დაგვერეკა. მე რომ მცოდნოდა, ასე დამთავრდებოდა ეს ამბავი, სულ რომ დაეწვათ ეს სკოლა, არ გამოვიძახებდი პატრულს, მაგრამ მე არ მინდა დემონიზება იმის, რომ რაღაც ინციდენტის შედეგად ჩვენ არ გამოვუძახოთ 112-ს, – განაცხადა სკოლის დირექტორმა.

# კახა კალაძე: „მთელი ღამე ვფიქრობდი, რატომ?“



– გუშინ მთელი ღამე ვფიქრობდი, რატომ?

გუშინ, 18 დეკემბერს, თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომა ლუკა სირაძის ტრაგიკული დაღუპვის ამბით გახსნა.

კალაძემ აღიარა, რომ დამნაშავე სახელმწიფო და საზოგადოებაა.

– ჩვენი სამძიმარი და გულისტკივილი ლუკას ვერ დააბრუნებს. უბრალოდ, მინდა, ყველამ გავიხსენოთ, როგორები ვიყავით 15 წლის ასაკში, რამხელა ენერგია, ემოციები დუღდა ჩვენში, რამდენად რთულად გვეჩვენებოდა ცხოვრება და თითოეული მოვლენა ჩვენ ირგვლივ იყო გამოწვევა, ხშირად შეიძლება ითქვას ბრძოლაც კი.

ლუკაც ასეთი იყო, ბიჭი გარდატეხის ასაკში, რომელიც დაეჯახა გაუცხოებას, გულგრილობას, არაპროფესიონალიზმს.

გუშინ მთელი ღამე ვფიქრობდი, რატომ? სამწუხაროდ, არ არსებობს თანაგრძნობა, სიყვარულის უნარი დავკარგეთ, მხოლოდ სიძულვილი და აგრესიაა მოზარდების ირგვლივ, ამას ხედავენ, ამასთან ერთად უწევთ ცხოვრება.

როცა ბავშვი იღუპება, ამაში დამნაშავე ვართ მთლიანად საზოგადოება, იმიტომ, რომ ოჯახი, სკოლა და სახელმწიფო ერთნაირადაა პასუხისმგებელი, – განაცხადა კალაძემ.

# ერეკლე კუხიანიძემ ცხინვალში ჩასვლა ცადა, მაგრამ მავთულხლართებში გაიჭედა „ბიბილოვს უნდა დაველაპარაკებოდი“



საკრებულოს წევრმა ერეკლე კუხიანიძემ, რომელმაც დე ფაქტო რეჟიმის მიერ დაკავებული ვაჟა გაფრინდაშვილის მიმართ რამდენიმე დღის წინ კრიტიკული განცხადება გააკეთა, ცხინვალში ჩასვლა ცადა.

კუხიანიძის განცხადებით, იგი 17 დეკემბერს გადავიდა გამყოფი ხაზის მიღმა, თუმცა, გზა აერია და უკან დაბრუნდა, 18 დეკემბერს კი, როდესაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასვლის მცდელობა მეორედ ჰქონდა, მას ამის საშუალება ქართველმა სამართალდამცავებმა არ მისცეს.

ერეკლე კუხიანიძის განცხადებით, იგი დარწმუნებული იყო, რომ დე ფაქტო რეჟიმის კონტროლირებად ტერიტორიაზე მას დააკავებდნენ, ამიტომ მომზადებული წავიდა და ხელჩანთით პირადი ნივთებიც წაიღო. მისი მიზანი კი, როგორც თავად აცხადებს, ბიბილოვთან შეხვედრა და გასაუბრებაა, რის საფუძველზეც ფიქრობს, რომ დაკავებულ ვაჟა გაფრინდაშვილს გაათავისუფლებდნენ.

– გუშინ ვცადე მე ეს განმეხორციელებინა, მაგრამ სადღაც ტყეში ვიბოდიალე და რაღაც მავთულხლართებში გავიჭედე. დღეს უკვე ეს ამბავი გახმაურდა და ახლა არ მინდა რაღაც ცირკს დაემსგავსოს, მინდოდა, მიმემართა ბატონი ბიბილოვისთვის რუსულ ენაზე, – განაცხადა კუხიანიძემ.

გუშინ, 18 დეკემბერს, საკრებულოს უმრავლესობის გადაწყვეტილებით, ერეკლე კუხიანიძეს უმრავლესობა დაატოვებინეს. გარდა ამისა, ის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის პოსტსაც დატოვებს.

ამის შესახებ განცხადება ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბექა დავითულიანმა გააკეთა.

– ჩვენ შევიკრიბეთ კანონით დადგენილი პროცედურით და გადავწყვიტეთ, რომ ერეკლე კუხიანიძეს დავატოვებინოთ უმრავლესობის რიგები. შესაბამისად, დავაყენებთ შუამდგომლობას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე მისი თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, – განაცხადა დავითულიანმა.

# დეკემბერში „ოცნებას“ 1.3 მილიონი ლარი შესწირეს



პარტია „ქართულმა ოცნებამ“ ბოლო ერთ თვეში 1.3 მილიონი ლარის შემოწირულობა მიიღო. მონაცემები სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის ვებგვერდზეა ხელმისაწვდომი.

მმართველი პარტიის შემომწირველთა შორის ძირითადად ბიზნესმენები არიან.

ფიქსირდება თანხის ჩარიცხვა იურიდიული პირებისგანაც – 100-100 ათასი ლარი ჩაურიცხეს „ქართულ ოცნებას“ კომპანიებმა „ორთაჭალა კასტელომ“ და „ნატურალი 7“-მა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „პოლიციელი, რომელიც სააკაშვილს გავაგდებინე, ღარიბაშვილმა დააწინაურა“

## ზაზა ხატიაშვილი: „რაც რამე უბედურება ხდება, ყველაფერი პროკურატურის ბრალია“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი, ადვოკატთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი პასუხობს.**

***– ბატონო ზაზა, დიდი ტრაგედია დატრიალდა, კიდევ ერთი პატარა სიცოცხლე ემსხვერპლა მახინჯ სისტემას. სად ვეძებოთ პრობლემის სათავე? დარჩა ის მახინჯი და მანკიერი სისტემა, რომელიც სააკაშვილის დროს იყო თუ კიდევ უფრო გაუარესდა?***

– სისტემა რომ შეიცვალოს, იქ უნდა მოიყვანო ადამიანი, რომელმაც ელემენტარულად იცის ეს სისტემა, აქვს განათლება და სურვილი, რომ რაღაცა შეცვალოს. დღეს შს სამინისტრო ამ ფეოდალის პირადი მცველია და როგორ შეიძლება, ამ ადამიანებს რამის შეცვლის სურვილი ჰქონოდათ?! ყველაფერი ერთმანეთთან არის კავშირში.

***– მთლიანი ჯაჭვია?***

– ზუსტად ასეა. ივანიშვილი რომ მოდიოდა ხელისუფლების სათავეში, იმ პერიოდში ქიმერიძე აწამეს პოლიციაში, ივანიშვილი თვალცრემლიანი ამბობდა, მთლიანად შევცვლით სისტემასო. რა შეცვალეს?

სტრასბურში მოვიგე მიქიაშვილის საქმე იმ პერიოდში, ესენიც მოვიდნენ ხელისუფლებაში, აღასრულეს სტრასბურის გადაწყვეტილება, დაზარალებულს თანხა გადაუხადეს და ამ ყველაფრის შემოქმედი მურუსიძე ჯერ მოსამართლედ განამწესეს და ახლა მურუსიძე-ჩინჩალაძის კლანით დააკომპლექტეს მთელი უზენაესი სასამართლო.

მარტო პოლიციაში არ არის პრობლემა, ყველაფერი ერთმანეთთან კავშირშია, ან პროკურატურაში რა ხდება. იქაც ქაოსია. თეა წულუკიანმა თავისი მოღვაწეობის სამი წელი რომ შეაფასა, მაშინ თქვა, პროკურორებს სარდაფიდან ბორკილდადებული ბიზნესმენები ამოჰყავდათო. ვერ მოვითმინე და მაშინ ვკითხე წულუკიანს, ახლა სად არიან ის პროკურორები, შემთხვევით ხომ არ დაგიწინაურებიათ-მეთქი.

***– რა გიპასუხათ?***

– ვერაფერი მითხრა. სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგებით მოდიოდნენ და სად აღადგინეს სამართალი?! სქესობრივი ძალადობის კადრებით მოვიდა ივანიშვილი, ამ კადრებმა შოკში ჩააგდო მთელი ქვეყანა. როდესაც ეს კადრები გაგრძელდა, ხალხი დააკავეს, იქ ზედამხედველი პროკურორი იყო რიჟამაძე. მოიკითხეთ, სად არის ერთი ეს პროკურორი, შემთხვევით ხომ არ დააწინაურეს?! კი არ დასაჯეს, დააწინაურეს და ასეთი რომელი ერთი ჩამოვთვალო.

***– როდესაც კითხავენ მოზარდს ადვოკატისა და ფსიქოლოგის გარეშე, ეს ნორმალურია?***

– ადამიანს როცა იბარებ პოლიციაში, აუცილებლად უნდა გააფრთხილო, რომ შეუძლია, ჩვენება არ მისცეს და სასამართლოში მაგისტრ მოსამართლესთან დაიკითხოს, მით უმეტეს, როცა საქმე მოზარდს ეხება, რამხელა სიფრთხილეა საჭირო.

გამომძიებელი კი არა, პროკურორი უნდა დასვა საბრალდებო სკამზე, იმიტომ, რომ როდესაც არასრულწლოვანი იკითხება, პროკურორს ეკისრება განსაკუთრებული ვალდებულება, რომ ყველაფერი აკონტროლოს. პოლიციის გამომძიებელი პროკურორის გარეშე მანდ ვერაფერს გააკეთებდა!

***– ანუ პროკურორის პასუხისმგებლობის საკითხიც დგება?***

– პროკურორს ხელს დააფარებენ, იმიტომ, რომ რაც კემბრიჯელა დანიშნეს გენერალურ პროკურორად...

***– კემბრიჯელა ვინ არის?***

– თადუმაძის მეტსახელია, პროკურორები ეძახდნენ კემბრიჯელას და მეც ასე ვეძახი.

***– სანამ ბავშვი არ გარდაიცვალა, არავინ დაუკავებიათ.***

– წარმოგიდგენიათ, რა საშინელებასთან გვაქვს საქმე?! უყურებდნენ, თუ ბავშვს რამე დაემართებოდა, დაიჭერდნენ, თუ არა და – არა. პროკურორი ვინ დაიჭირა?! მთავარი ხომ პროკურორია აქ!

რაც რამე უბედურება ხდება, ყველაფერი პროკურატურის ბრალია. მანდ პროკურორის ნება თუ არ იქნებოდა, ისე ვინ ვის გამოკითხავდა. ოღონდ პროკურორი არ დასაჯონ და ნახავთ, რა ხერხს არ მიმართავენ.

ირაკლი ღარიბაშვილის დროს დაიწყო ყველა უბედურება, ის არის იმის სათავე, რაც დღეს პოლიციაში ხდება!

***– რატომ, რას ერჩით მაინცდამაინც ღარიბაშვილს?***

– 2012 წლის დეკემბერში, როცა უკვე „ოცნება“ იყო ხელისუფლებაში, მე მოვიგე სტრასბურში საქმე დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ. სააკაშვილის რეჟიმის დროს ადამიანი რომ აწამეს, იატაკზე დასხმული კოკა კოლა ალოკვინეს ენით. მე მოვიგე ეს საქმე, სააკაშვილი ისევ პრეზიდენტი იყო. მაშინ ივანიშვილი იყო პრემიერ-მინისტრი და ღარიბაშვილი – შს მინისტრი და იცით, რა ქნა ღარიბაშვილმა?!

***– რა ქნა?***

– ეს პოლიციის მუშაკი, რომელმაც დვალიშვილი აწამა, მე სააკაშვილს გავაგდებინე სამსახურიდან, ღარიბაშვილმა კი პოლიციის უფროსად დანიშნა წყალტუბოში, გვარად ქობულია!

***– რატომ დააწინაურეს ოდიოზური ფიგურები, რომ სისტემა შეენარჩუნებინათ?***

– ივანიშვილმა ხელი გადაუსვა თავზე მოსამართლეებსა და პროკურორებს და უთხრა, რასაც სააკაშვილისთვის აკეთებდით, ჩემთვისაც იგივე უნდა გააკეთოთო, იმიტომ, რომ ეს ხელისუფლების შენარჩუნების ერთადერთი გზაა.



ივანიშვილი ძალიან ცუდი დასასრულისკენ მიდის. ამდენი ხალხი რომ ჩამოიყვანა და დააყენა რუსთაველზე, ნახეთ, რამდენი ვართო, ეს ყველა დიქტატურის დასასრულია. რასაც სააკაშვილი აკეთებდა, ის გააკეთა. თუმცა სააკაშვილს ტვინი ეყო და, რომ წააგო, გაიქცა აქედან. ამას იმის ტვინიც არ აქვს, რომ წავიდეს. ამიტომ ძალიან ცუდად დაამთავრებს.

# დავით ბერძენიშვილი: „ოცნებას“ საკრებულოშიც და პარლამენტშიც რუსული ჟანგი ძალიან მოედო“

## „წულუკიანი პოლიტიკაში ბარაბანია. „ოცნების“ ქალი პოლიტიკოსები უცოდინრები არიან“

იაგო ნაცვლიშვილი

**როგორ უნდა გაჯანსაღდეს სისტემური პრობლემები, რათა აღარ განმეორდეს ისეთი ფატალური შემთხვევები, როგორიც 17 დეკემბერს 15 წლის მოზარდის ტრაგედიის გამო მოხდა? რა გეგმები აქვს ოპოზიციას აქციების გაგრძელების მხრივ? რა გზავნილებით ჩამოვიდნენ ოპოზიციის ლიდერები ამერიკიდან და უკავშირდება თუ არა ამ ვიზიტს ამერიკელი კონგრესმენების მკვეთრი კრიტიკა? — ამ და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს.**

***– ტრაგედია მოხდა, 15 წლის ახალგაზრდის სუიციდი, სადაც ფიგურირებენ პოლიციელები. ბუნებრივია, არის სახელმწიფოს როლი, მაგრამ, როგორ წარმოგიდგენიათ ასეთი სახის პრობლემების მოგვარება, სადაც ჩანს განათლებისა და ჯანდაცვის სისტემის პრობლემები და ასევე შსს, რომელიც მონსტრ უწყებად იქცა? როგორ გესახებათ ის, რომ ადამიანზე იყოს სახელმწიფო მორგებული?***

– ასეთი სისტემა გამართულად რომ არ მუშაობს, ვნახეთ და ამან გამოიწვია ეს საშინელება. მე ვფიქრობ, სკოლის ადმინისტრაციას მეტი გულისხმიერება უნდა გამოეჩინა. პოლიციას რაც შეეხება, 6 დღის განმავლობაში სიკვდილს ებრძოდა 15 წლის მოზარდი. შსს მის გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრეც კი ამბობდა, რომ არავითარი გადაცდომა არ ყოფილა და ყველა გამომძიებელი კარგად იქცეოდა. გარდაცვალებისთანავე დააკავეს გამომძიებელი, რომელიც აღმოჩნდა, რომ თურმე წინა ხელისუფლების დროსაც დადასტურებით ცუდად მუშაობდა. ეს სტრასბურმა დაადასტურა და ამ ხელისუფლებამ გადმოიბარა.

საერთოდ, 30 წელია, ჩვენი დამოუკიდებლობის არსებობის განმავლობაში სამართალდამცავ სტრუქტურებში არსებითი ხასიათის რეფორმა არ მომხდარა. ამ თვალსაზრისით ყველა წამოწყება აღმოჩნდა ფსევდორეფორმა. ამიტომ ეს პრობლემა სისტემურია. არა მარტო ამ ხელისუფლების დროს იქცევა ცუდად, არამედ წინა ხელისუფლებების დროსაც ცუდად იქცეოდნენ. დაჟანგულია ეს სისტემა ბოლო წლებში უფრო და ამან ეს გამოიწვია. ვხედავთ ხელის გაშვერას ერთმანეთის მიმართ და მთავარი, რასაც ვხედავ, არის გულგრილობა და ამ გულგრილობის შედეგია ეს.



### „ამერიკისგან მკვეთრი გამოხმაურება კიდევ იქნება“

ახლა დეტალებში არ შევალ. გავიარეთ კამერებიო და თუ ის დაადგინა, რომ ჩვენი სკოლის მოსწავლე არ ყოფილაო, მაშინ იმასაც მიხვდებოდნენ, რომ მათი სკოლის ყოფილი მოწაფე იყო. თუ იდენტიფიცირება არ კეთდებოდა, მაშინ როგორ დაადგინეს, რომ მათი სკოლის მოწაფე არ იყო. ჩვენ არ ვიცით, რეალურად რა მოხდა იმ გოგონასთან დაკავშირებით, რომელზეც ვრცელდება ინფორმაცია, რომ ცუდად არის. ბევრი ჭორ-მართალი ტრიალებს და ამის განხილვაში ვერ შევალ. ფაქტია, რომ ძალიან ცუდი და თავზარდამცემი ამბავი მოხდა. ქეთი დოლიძის მსგავს ადამიანებს პასუხს არც გავცემ. დალაგებული თუ დაულაგებელი ტროლები ხელს იშვერენ ნაციონალური მოძრაობისკენ. გია აბაშიძე, რომელიც რამდენიმე წელია, „ოცნების“ ექსპერტად ჩაითვალა, ამბობს, რომ იქ სკოლის დირექტორის მოადგილე ნუგზარ წიკლაურის ცოლია. 20 წელია, ის ქალი იქ მუშაობს მასწავლებლად. ეს უკვე ამაზრზენი და ძალიან ზედაპირულია.

***– გადავიდეთ სხვა პოლიტიკურ თემებზე. ოკუპაციის თემის გამო საკრებულოში მორიგი აურზაური ვიხილეთ. რატომ გაუჭირდა „ოცნებას“ ერეკლე კუხიანიძის მსგავსი პირების დათმობაც კი, რომელიც რეალურად არაფერს წარმოადგენს მისთვის?***

– საერთოდ რატომ აღმოჩნდა ეს პირი საკრებულოში, თანაც კომისიის თავმჯდომარის რანგში?! მას საკრებულოს არჩევნებამდე მრავალი წლით ადრე ჰქონდა დეკლარირებული გამოკვეთილად რუსული პოზიციები. ამ კაცს იცნობს მისი თაობის ხალხი, გარკვეული ნაწილი და გაიხსენეს, რომ 20 წლის წინაც არ ყოფილა სხვანაირი. ეს კაცი არის რუსი და თვლის, რომ საქართველო რუსეთის პატრონობის ქვეშ უნდა იყოს.

ამიტომ ჩნდება კითხვა, ვინ ჩაწერა სიაში? თუ ეს არის გოგაშვილის პატრონაჟის ქვეშ მყოფი ადამიანი, ეს კიდევ უფრო ადასტურებს იმას, რომ რაღაც რუსულ სივრცეშია. მთავარი და არსებითი ის არის, რომ, პრინციპში, ივანიშვილიც რუსულად აზროვნებს.

***– თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, ვინ ჩაწერა სიაში?***

– ამბობენ, რომ გოგაშვილის წრეა. საერთოდ ის, რომ დისკომფორტს უქმნის საკრებულოს ხელმძღვანელობას, გამოჩნდა და დადასტურებულია. მეორე მხრივ კი, როდესაც ვერაფერს, ამბობენ, ეს ნიშნავს იმას, რომ ვერ იტყვიან ვერაფერს თუნდაც კომისიის თავმჯდომარეობიდან გაშვებაზე, სანამ ივანიშვილის დასტური არ ექნებათ.

ვახსენე ქეთი დოლიძე, აგერ ეს კაცი... ხომ ვიცით, რომ ქეთი დოლიძე პირდაპირ ბიძინას წრესთან არის დაკავშირებული! ამიტომ ასეთი ადამიანები წახალისებული არიან საკუთრივ ივანიშვილის მხრიდან და ეს არის რეალობა. დღევანდელი „ქართული ოცნება“ ჟანგიანია და მას ძალიან მოედო რუსული ჟანგი საკრებულოშიც და პარლამენტშიც.

***– მომხდარი ტრაგედიის გამო აჩერებთ აქციებს. საახალწლო პერიოდში რა გეგმები გაქვთ?***

– ამ ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ, რა თქმა უნდა, მორატორიუმი იქნება და აქციები გაჩერდება, ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკური პასუხისმგებლობის აქციები პოლიტიკური პარტიების მხრიდან ალბათ გაჩერდება.

რაც შეეხება გეგმებს, გერმანულის საფუძველზე მომზადებული კარგი ძარღვიანი საარჩევნო სისტემა გაგზავნილი გვაქვს ეუთოს „ოდირში“. ველოდებით იქიდან პასუხს. ძალიან წარმატებული იყო ოთხეულის დელეგაცია აშშ-ში, ინტერპარტიულ ფორმატში.

***– საინტერესოა ისიც, რა გზავნილებით ჩამოვიდნენ ისინი და ამას ხომ არ უკავშირდება ამერიკელი კონგრესმენების გახარიასადმი მიმართვა?***

– ამ ხალხმა ძალიან კარგად იმუშავა, მაგრამ, ბუნებრივია, რომ რაც არ უნდა კარგად ემუშავა 4 კვალიფიციურ ქალ პოლიტიკოსს, ეს არ იქნებოდა კონგრესმენების ასეთი პოზიციის. განმსაზღვრელი ბუნებრივია, ამ ხალხმაც შეუწყო ხელი კონგრესმენებსაც, სენატორებსაც, „აი-არ-აის“ ხელმძღვანელსაც და ბევრ სხვასაც. ძალიან წარმატებული ვიზიტი იყო, მათ მიიტანეს ფაქტები, გაუზიარეს საკუთარი შეხედულებები, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ამერიკული მხარე და ეს მხოლოდ ერთ წყაროზე არ არის დამოკიდებული. არის საელჩო, არის „აი-არ-აი“, „ენ-დი-აი“... უამრავი სტრუქტურა მუშაობს საქართველოზე და საქართველოს კომისიის თანათავმჯდომარის ორივე პარტიის წარმომადგენლის ასეთი მკვეთრი პოზიცია არ მახსენდება და არც არავის ახსენდება. იყო მკვეთრად დასმული საკითხი, რომ მოიპარეს პროპორციული არჩევნები, ძალა გამოიყენა 20 ივნისის აქციაზე. მხოლოდ შეფასება კი არ არის, მიმართავს გახარიას და თითს უქნევს საქართველოს მთავრობას. გაყოფილია საქართველოს ინტერესი და საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება.

***– ეს ამგვარად უნდა გავიგოთ, რომ ამერიკამ საქართველოს ხელისუფლებას აჩვენა ყვითელი ბარათი და შემდეგ პირველივე გადაცდომაზე წითელი იქნება?***

– რა თქმა უნდა, ასეა. არ ვფიქრობ, რომ ეს იქნება ერთადერთი მკვეთრი გამოხმაურება. გამოხმაურებები იქნება კიდევ. ამ მოლოდინში უნდა ვიყოთ.

***– ამის მოლოდინი გაქვთ თუ ამ განცხადებას რამე ინფორმაციაზე დაყრდნობით ავრცელებთ?***

– ერთიც მაქვს და მეორეც. მეტ დეტალს ამჟამად ვერაფერს ვიტყვი. რაც შეეხება ამ ყვითელ ბარათს, ძალიან გაწითლებისკენ წასული ყვითელი ბარათია და უახლოვდება წითელ ბარათს. საერთოდ, მეორე ვადის დასასრულს, როდესაც ხელისუფლებები პოსტსაბჭოთა საქარ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე



**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

# „ამ ცხოვრების დედაც! ეს ნიშნავს, რომ ლუკა სირაძე შველას ითხოვდა“

ნონა ცაბაძე

**15 წლის ლუკა სირაძის თვითმკვლელობასთან დაკავშირებით „ახალი თაობის“ კითხვებს ფსიქოლოგი ვერიკო გოჯიაშვილი პასუხობს.**

## ვერიკო გოჯიაშვილი: „მას ყველაფერი ერთად დაატყდა თავს – მამის სიკვდილი, სკოლის შეცვლა, გარდატეხის ასაკი“

**ვერიკო გოჯიაშვილი:**

– 15 წლის ასაკში გამძაფრებულია პროტესტები, განწყობები. ამ ასაკში განსაკუთრებით სჭირდება გაფრთხილება ახალგაზრდას. ახალი გარდაცვლილი ჰყავდა მამა, ოჯახში მომხდარია ტრაგედია, ამ ტრაგედიიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა სკოლის შეცვლა, რადგან ოჯახი ველარ იხდიდა სწავლის საფასურს.

***– ესეც ცუდად აისახებოდა ბავშვის ფსიქოემოციურ ფონზე?***

– რა თქმა უნდა. არ შეიძლება სკოლის განაწესში ასეთი სიმკაცრე და კატეგორიულობა, რომ როგორც კი არ გადაიხდი, მაშინვე წახვალ. სკოლა ხომ მაინც მუშაობს, კლასი შემდგარია, ერთი ბავშვით მეტი რომ იჯდეს კლასში, განა რა დაშავდება?! იქნებ რაღაც პერიოდის შემდეგ მშობელი ახერხებს თანხების მოზიდვას. გარდა ამისა, მოზარდს შეაგუებს მშობელი, რომ უნდა შეუცვალოს სკოლა. წინ მთელი ზაფხულია და მოზარდიც შეეგუება, რომ მეგობრებს უნდა დაშორდეს.

ყველაფერი ერთად დაატყდა ბავშვს თავს – მამის სიკვდილი, სკოლის შეცვლა, გარდატეხის ასაკი...

***– ჯერ კიდევ ბევრი კითხვის ნიშანია ამ საქმეში.***

– დიახ. უკვე ათასი ვერსია მოდის, ვერ გავარკვიეთ, რა ტყუილია და რა – მართალი. გავრცელდა ინფორმაციაც, რომ ეს ლუკას დაწერილი არ არის, ერთ-ერთი გოგონა დაკითხეს, რომელსაც ათქმევინეს და შემდეგ იმ ბავშვმაც ვენები გადაიჭრა.

აქ არის სრული კასკადი რაღაცა სისასტიკის. სკოლამ გადაწყვიტა, ბავშვი მოიშოროს და ტყუილ-მართალი ერთმანეთშია არეული.



### „სკოლას პოლიციისთვის არ უნდა მიემართა“

ამ საქმეში სკოლა იკვეთება ყველაზე ცუდად. ისიც კი იკადრეს და დაწერეს, ბავშვს ჰქონდა ქურდული მენტალიტეტიო. ამ ასაკში არათუ ბიჭებს, გოგოებსაც კი აქვთ ცოტა მოძველბიჭო გადახრა. მე ვერ ვიტყვი ქურდულ მენტალიტეტს. ეს სადღაც შემოდის ამ ასაკში, იმიტომ, რომ უნდათ მეტი თავისუფლება, ამტკიცებენ რაღაცას და სხვა ფორმებით ვერ ამტკიცებენ. გამოდიან მომსმენი და დამჯერი შვილების ფორმიდან და მეორე უკიდურესობაში ვარდებიან.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს ბავშვი აუცილებლად ქურდული მენტალიტეტისკენ მიდიოდა. ეს ნიშნავს იმას, რომ გარდატეხა მწვავედ მიდიოდა.

***– ეს ყველაფერი თავის მართლებას უფრო ჰგავს სკოლის მხრიდან.***

– მორალურად არ არის სწორი, რომ თავის გამართლების მიზნით ყველაფერი მიაწერონ მოზარდს. მოდით, შევხედოთ სლოგანსაც, ჯერ ფერები როგორია გამოყენებული – პროტესტი, აგრესია, დეპრესია, ყველაფერია შიგნით, შიშიც, უბედურებაც და მერე თვითონ სლოგანი – ამ ცხოვრების დედაც!

ბავშვმა ფრაზა არ დაასრულა, არ დაწერა ის მძიმე სიტყვა. თუ ის ასეთი ცუდი ბავშვი იყო, როგორც ცდილობენ, რომ წარმოაჩინონ, ის მიაწერდა იმ მეოთხე სიტყვასაც და დაასრულებდა ფრაზას.

***– რის თქმა სურდა ლუკას ამ ფრაზით?***

– ფსიქოლოგიურად თუ განვიხილავთ, ამ ფრაზაში ბავშვს არ უგულისხმია კონკრეტულად არც დირექტორი, არც პედაგოგი, კონკრეტულად არავინ. ბავშვმა თავის ცხოვრებას შეაგინა, თავისი ცხოვრება დაგმო.

აქ ხომ უნდა დაგვენახა, საით იყურება მოზარდი, რომ ის საშველია. აქ არის პროტესტი, დეპრესია, შიში და უნდობლობა ცხოვრების მიმართ. განგაში უნდა ატეხილიყო, რომ ბავშვს შველა სჭირდება, დახმარება სჭირდება, მაგრამ ამის მაგივრად რა მოხდა? განაცხადეს პოლიციაში. დაკითხვა იყო ბოლო წვეთი. სავარაუდოდ, იქ ბავშვის უფლებებიც დაირღვა. ბავშვის პოლიციაში დაბარება უკვე დიდი სტრესია.

***– დაკითხვისას ბავშვს უნდა ჰყოლოდა თუ არა ფსიქოლოგი და ადვოკატი?***

– რა თქმა უნდა, უნდა ჰყოლოდა. ბავშვის პოლიციაში დაბარება უკვე დიდი სტრესია, თანაც მიდის ტრავმირებულ დედასთან ერთად, რომელიც ახალი დაქვრივებულია. ამ დროს არავინ იცის, რა ხდება ბავშვის გულში, როდესაც ისედაც ცხოვრებისგან გამწარებულ დედას კიდევ ახალ პრობლემებს უჩენს.

ეს სერიოზული სინდისის ქენჯნა იქნებოდა ბიჭისთვის. დედას დაუმატა ტკივილი, ეს ხომ ცალკე განცდები იქნებოდა მისთვის. დანარჩენი, რაც პოლიციაში მოხდა, ზუსტად არ ვიცით. იმედია, ყველაფერი გაირკვევა.

ამ ბავშვის ცხოვრებაში იყო ტრავმა ტრავმაზე. საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი – ასე აიხსნება ეს ბავშვისთვის, რომელმაც დასაყრდენი ვერსად იპოვა. ყველაფერი ერთად შეიკრა და ასე ფატალურად დასრულდა.

სკოლას უნდა გაეთავისებინა ამ ბავშვის პრობლემები.

***– ამ საქმეში მთავარ დამნაშავედ იკვეთება სკოლა?***

– ღერძი გაევლო სკოლაზე. მატერიალური ზარალის გამო ტრავმირებულ ბავშვს მიათრევ პოლიციაში... რა ვთქვა, არ ვიცი. გააწმენდინე, გადააღებვინე, გაახეხვინე და ასე აანაზღაურებინე ეს ზიანი. ეს მთელ მსოფლიოში გამართლებული მეთოდია. ასე პირველივე შემთხვევისას მიმართო პოლიციას, ეს არის დანაშაული.

მე არ ვიცი, კანონებში როგორ გვიწერია, მაგრამ ფსიქოლოგიურად და მორალურად ნამდვილად არის დანაშაული!

***– რა უნდა მოიმოქმედოს სახელმწიფომ, რომ მსგავსი ტრაგედიები თავიდან ავიცილოთ?***

– განათლების სამინისტრომ აუცილებლად უნდა იმუშაოს ამ საკითხზე. განსაკუთრებული ზომებია მისაღები. შეიძლება, დასაკითხია მოზარდი, მაგრამ ეს ძალიან ფაქიზად და განსაკუთრებულად უნდა მოხდეს.

მოზარდის დაკითხვისას ძალიან ბევრი ფაქტორი უნდა იყოს გათვალისწინებული. აუცილებელია, ზუსტად ამ ასაკის მოზარდებისთვის დაზღვევაში შევიდეს ფსიქოლოგის კონსულტაციაც. ბევრს არ აქვს საშუალება, რომ ბავშვი ფსიქოლოგთან ატაროს, როდესაც ასეთ პრობლემებს აწყდება. როდესაც სახელმწიფო აუნაზღაურებს, მაშინ ყველა მშობელი მიმართავს ფსიქოლოგს. ჯანდაცვის სამინისტრომ აუცილებლად უნდა იმუშაოს ამ საკითხზე.

# ბიძინა გუჯაბიძე: „სკოლებში ფსიქოლოგებისა და მოძღვრების ყოფნაა აუცილებელი“

მარიამ მჭედლიშვილი

**საზოგადოება შეძრწუნებულია 15 წლის ლუკა სირაძის დაღუპვით. იგი რამდენიმე დღის წინ მე-9 სართულიდან გადმოვარდა. რა გამოსავალი უნდა მოძებნოს სახელმწიფომ მოზარდებში სუიციდის ფაქტების წინააღმდეგ? ვინ ქმნის აგრესიულ გარემოს ქვეყანაში? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს კონსერვატიული პარტიიდან ბიძინა გუჯაბიძეს.**

***– საზოგადოების ნაწილი დარწმუნებულია, რომ ლუკა სირაძე სისტემის მსხვერპლია. არიან ადამიანები, რომლებიც ამას გამორიცხავენ. თქვენ რას იტყვით?***

– საშინელი ფაქტი მოხდა. სისტემა აქ არაფერ შუაშია. დღევანდელი შინაგან საქმეთა სამინისტრო გამართულად მუშაობს. სისტემური დანაშაული სააკაშვილის რეჟიმის დროს ხდებოდა. მაგალითი უამრავია. საკმარისია ჩამოვთვალო გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილის, გამცემლიძის შემთხვევები.

ლუკა სირაძის საქმის გამომძიებელი მარიანა ჩოლოიანი საავადმყოფოში მოხვდა. ამბობენ, რომ განიცდის ამ ამბავს. ზოგს სჯერა მისი, ზოგს – არა. ამ მოზარდის გარდაცვალების გამო ამ გამომძიებელს ვერ დავადანაშაულებ. ამისათვის მტკიცებულებები არ გამაჩნია. ისე კი, ეს მარიანა ჩოლოიანიც სააკაშვილის დროინდელი გამომძიებელია და ასრულებდა იმ ხელისუფლების დავალებებს.

***– „ქართულმა ოცნებამ“ ის სისტემა არ შეცვალა? ამას ამ ხელისუფლებას ბევრი საყვედურობს.***

– სააკაშვილის სისტემა აღარ არსებობს. სისტემური დანაშაული არ ხდება. სისტემურ დანაშაულს განმეორებითი ხასიათი აქვს. თითოოროლა შემთხვევა თუ ხდება სამართალდამცავების მონაწილეობით, ეს სისტემურ დანაშაულს არ ნიშნავს. ლუკა სირაძის ისტორიაზე ბევრი ინფორმაცია ვრცელდება. ამბობენ, რომ ის გასცა თანაკლასელმა გოგონამ, რომელმაც შემდეგ თავის მოკვლა ცადა. გარდაცვლილს არ ჰქონდა ოჯახის წევრების, პედაგოგების თანაგრძნობა და თანადგომა.

***– მეუფე მელქისედეკი აცხადებს, რომ ჩვენს შვილებს თვითონ ვხოცავთ. მათ არ აქვთ სივრცე ნუგეშისა და დახმარებისათვის.***

– ეს მართალია. 2003-2008 წლების მოწვევის პარლამენტში მქონდა საკანონმდებლო ინიციატივა იმაზე, რომ ფსიქოლოგთან ერთად სკოლაში ბავშვებთან ურთიერთობის უფლება ჰქონოდა სასულიერო პირს. ბევრი ვიჭიდავე, მაგრამ ამას ვერ მივაღწიე.

***– მას შემდეგ სკოლებიდან ფსიქოლოგებიც გამოუშვეს.***

– დიახ, ფსიქოლოგები გამოუშვეს და სკოლებში შეიყვანეს მანდატურები. ზოგადად მანდატურის სამსახურის წინააღმდეგი არა ვარ. არიან ნორმალური და წესიერი მანდატურები. ზოგიერთი მათგანი კი ნამდვილი „ზონდერი“ იყო. სკოლებში უნდა იყვნენ ფსიქოლოგები. თუ ფსიქოლოგი პრობლემას ვერ აგვარებს, სკოლის დირექციას უნდა მიეცეს მოძღვრის მოწვევის უფლება. არა მგონია, სასულიერო პირებმა ამაზე



უარი თქვან. ჩემი ინიციატივა ეს იყო.

***– მოზარდებზე ცუდად მოქმედებს ქვეყანაში არსებული გარემოც.***

– რასაკვირველია. გარემო აგრესიული გვაქვს. ეს მრავალგანზომილებიანი საკითხია. სიტუაციას ამძაფრებენ პოლიტიკური წრეები და მათთან დაკავშირებული ტელევიზიები. კრიტიკა აუცილებელია, მაგრამ, ხომ არ შეიძლება, მუდმივად მუხტავდე საზოგადოებას და ახალ ამბებს მკვლელობებითა და ძარცვა-ყაჩაღობით იწყებდე! ყოფილი „რუსთავი 2“-ის ხალხმა ახლა „მთავარ“ არხზე გადაინაცვლა და ისე იქცევა, რომ „ზონდერები“ უკან რჩება.

***– ოპოზიცია აქციებს განაგრძობს.***

– აქციები აკრძალული არ არის, გააჩნია, ვინ ატარებს. ამ ოპოზიციამ დაამტკიცა, რომ სრულიად გაკოტრებულია. ხალხი მას გვერდით არ დაუდგა. რევანშის სურვილით რას აღარ კადრულობენ! ფუნდამენტური საკითხები გვერდზე აქვთ გადაწეული და მესამე თუ მეხუთეხარისხოვან თემებზე ხმაურობენ.

***– ამ პოლიტიკოსებისთვის სამართლიანი არჩევნებია ერთ-ერთი მთავარი საკითხი.***

– არჩევნები ყველასთვის მნიშვნელოვანია. ამას არავინ უარყოფს. კარგი იქნებოდა, პროპორციული სისტემის შემოღების თარიღი გადმოწეულიყო. ეს არ მოხდა, მაგრამ პარტიებმა ქვეყანა კი არ უნდა დააქციონ! შერეული სისტემითაც შეიძლება არჩევნების ჩატარება. პროპორციულიც დემოკრატიულია და მაჟორიტარულ-პროპორციულიც. მთავარია, არჩევნები გაიმართოს გამჭვირვალედ, მშვიდ გარემოში და ამომრჩეველს ხმა არ დაეკარგოს. ამათ მაინც არავინ აირჩევს.

***– ვის გულისხმობთ?***

– ნაციონალებს, ევრონაცებსა და მათ ამყოლ-დამყოლებს. მათ ხალხი მხარს არ უჭერს.

***– პოლიტიკურ ველზე სიახლეები არ ჩანს?***

– სიახლეები ნამდვილად არ ჩანს. ერთი მხრივ, არის „ქართული ოცნება“, მეორე მხრივ, არიან ნაცმოძრაობა და „ევროპული საქართველო“. სხვა პარტიები მათ გარშემო შეიკრიბნენ. ეს კარგი არ არის, იმიტომ, რომ ასე პოლიტიკური სპექტრი ვერ ვითარდება და ვერ იქმნება ჯანსაღი სიტუაცია.

ამას ხელისუფლებას ვერ დავაბრალებ.

# დავით ბერძენიშვილი: „ოცნებას“ საკრებულოშიც და პარლამენტშიც რუსული ჟანგი ძალიან მოედო“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

თველოში ცუდად იქცევიან, ის მიუღებელი ხდება დასავლეთისთვისაც. ასე იყო შევარდნაძის შემთხვევაში და ასე იყო სააკაშვილის შემთხვევაშიც. თუ ქართველი ხალხი მეორე ვადის დამთავრებისას წითელ ბარათს აჩვენებს არჩევნებით ხელისუფლებას, ქართველი ხალხის არჩევანი დასავლეთის მიერ დადასტურებულია ხოლმე. ასე იყო 2003 წელს, 2012 წელს და ასე იქნება 2020-შიც.

***– მთავარია, ოპოზიციამ საზოგადოება დაარწმუნოს, რომ წითელი ბარათი აჩვენონ „ქართულ ოცნებას“.***

– რა თქმა უნდა. ბუნებრივია, ამომრჩეველი წყვეტს ხელისუფლების საკითხს ქვეყანაში. ხელისუფლება პირდაპირ გვეუბნება და ეს დასავლეთში მკაფიოდ გაიგეს, რომ დაპირება, რომელიც იდეად გამოაცხადეს, აღარ შეასრულეს. ეს თეა წულუკიანმა თავისი ბავშვის ბაღში მიკითხვად შეაფასა, რომელიც ვერ შეუსრულა. ეს ძალიან მდარე შედარებაა. საერთოდ, თეა წულუკიანის გამოჩენა ასპარეზზე გაჭირვების არის, იმიტომ, რომ ცინიზმს სჭირდება ცოდნა. თეა წულუკიანი პოლიტიკაში ბარაბანია. პოლიტიკაზე კი არა, საარჩევნო სისტემებზე არ აქვს წარმოდგენა. მან ჯერ საკუთარ პრემიერთან გაიაროს ეს საკითხები, ერთი მესიჯ-ბოქსი შექმნან.

გახარიამ კონგრესმენების წერილზე თქვა, პოლიტიკური გადაწყვეტილება გვქონდა პროპორციულ არჩევნებთან დაკავშირებით, მაგრამ ვერ გავიტანეთ და ვერ შევასრულეთ, ანუ პოლიტიკური გადაწყვეტილება გვქონდა მიღებულიო. თეა წულუკიანი ცდილობს, შემოგვასაღოს, თითქოს ეს იყო ისეთი შეუსრულებადი დაპირება, რომელიც არავითარი მნიშვნელობის არ არის და შეადარა, თავის ბავშვს ბაღში როდის მიაკითხავს და როდის – არა.

პოლიტიკური გადაწყვეტილება რომ იყო ივანიშვილის მიერ გამოცხადებული, ამის საფუძველზე განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტად დანიშნულმა სალომე ზურაბიშვილმა მსოფლიოს ყველაზე წარმომადგენლობით ორგანოში – გაეროში ამაყად, რომ ჩვენ გადავდივართ ძალიან დემოკრატიულ საარჩევნო სისტემაზე. რა თქმა უნდა, მას არ აქვს თავმოყვარეობა და, ეს როცა ივანიშვილმა უკან წაიღო, ხმა ვერ ამოიღო. საერთოდ, ოპოზიციას გაცილებით ძლიერი და წონადი ქალები გვყავს, ხელისუფლების პოლიტიკოსი ქალები კი უცოდინრები არიან. ვინც არ უნდა გავიხსენო, ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთები არიან წულუკიანიც, ზურაბიშვილიც, მაია ცქიტიშვილიც. მოკლედ, ვინც კი გამოაჩინეს, არც ერთი არ არის არც თავისუფალი და არც მცოდნე, თუმცა მათ არც კაცები უქნია ღმერთს.

***– მოდით, ნუ დავყოფთ გენდერული ნიშნით და ნუ დავტოვებთ გენდერული დისკრიმინაციის რამე საფუძველს, მით უმეტეს, რომ ამბობთ, კაცი პოლიტიკოსებიც სუსტები ჰყავთო.***

– ეს არც მიგულისხმია. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ გენდერულად უფრო მომგებიან მდგომარეობაში ვართ. ოპოზიციაში ქალები კაცებზე უფრო მაგრები არიან, ხელისუფლებაში კი ქალები კაცებსაც კი ჩამორჩებიან.

***– საახალწლოდ პაუზა გექნებათ და მერე კვლავ გააქტიურდებით თუ როგორია თქვენი გეგმები?***

– არ ვიცი, პროცესი გვიჩვენებს. ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება ზეწოლას გარედან და სწორედ საარჩევნო თემატიკასთან დაკავშირებით. ჩვენ მზად ვართ, ნებისმიერი სისტემით მოვუგოთ არჩევნები, მაგრამ მაქსიმალურად მეტი გამოვგლიჯოთ ხელისუფლებას სამართლიან საარჩევნო სისტემასთან მიახლოების თვალსაზრისით, რათა შემდეგ ნაკლები პრობლემა იყოს ამომრჩევლის ხმის დასაცავად, თორემ ჩვენს ხმებს დავიცავთ. გაყალბებას ვერ შეძლებენ, დააპირებენ და წააგებენ.

# „მარიანა ჩოლოიანს კონტაქტი უჭირს და ნევროზული ფონი აქვს“

## „მწვანე სკოლამ“ პოლიციას მტკიცებულებები და ამოღებული ვიდეოკადრები დაახვედრა“

— გამომძიებელი მარიანა ჩოლოიანი ბრალს არ აღიარებს.

ამის შესახებ დაკავებული გამომძიებლის ადვოკატმა თეონა გვაზავამ ჟურნალისტებს „კავკასიის მედიცინის ცენტრთან“ განუცხადა, სადაც მისი დაცვის ქვეშ მყოფია გადაყვანილი.

ადვოკატის თქმით, ბრალდების შესახებ დადგენილება ჯერ არ ჩაჰბარებია, თუმცა, რა მუხლითაც ჩოლოიანის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნაა დაწყებული, მას არ ეთანხმება. ის მუხლი გულისხმობს არასრულწლოვნის მიერ ჩვენების მიცემის იძულებას.

მარიანა ჩოლოიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე იყო, შესაბამისად, ის შემდგომი მკურნალობისთვის კლინიკაში გადაიყვანეს.

— არათუ მარიანა ჩოლოიანის, არამედ არც ერთი პოლიციელის მხრიდან პოლიციის განყოფილებაში არასრულწლოვნის მიმართ არ განხორციელებულა იძულების მუქარისა თუ კანონით სხვა გაუთვალისწინებელი ქმედება. უფრო მეტიც, არც ერთი სხვა საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობისას რამე სახის შენიშვნა არც არასრულწლოვნის მხრიდან, არც მისი კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან დაფიქსირებული არ არის.

სწორედ კანონიერი წარმომადგენელი გამოთქვამდა სურვილს, რომ არასრულწლოვანს საგამოძიებო ორგანოსთან კვლავ ჰქონოდა კავშირი, — განაცხადა თეონა გვაზავამ.

ოჯახი ამბობს, რომ 15 წლის მოზარდზე ზეწოლა განხორციელდა პოლიციის განყოფილებაში. ამაზე ადვოკატი ამბობს, რომ ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის შეფასება.



— თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ არსებობდა გამომძიებლისა და საგამოძიებო ორგანოდან იძულების ან ზეწოლის განხორციელების ფაქტი, მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ აღნიშნულის შესახებ დაეფიქსირებინათ და შეეტანათ შესაბამისი შენიშვნები, რაც დაფიქსირებული არ არის არათუ იმ პირველ დღეს, როდესაც იმყოფებოდა პოლიციის განყოფილებაში, არამედ მეორე დღესაც რამე სახის შენიშვნა, განცხადება იძულებისა თუ მუქარის განხორციელების ფაქტთან დაკავშირებით არ დაფიქსირებულა, — განაცხადა თეონა გვაზავამ.

მისი თქმით, მეორე დღეს საგამოძიებო ორგანოში არასრულწლოვნის გამოცხადების ინიციატორი გახდა მისი კანონიერი წარმომადგენელი.

— თუ წინა დღეს მის მიმართ განხორციელდა რამე სახის იძულება და მუქარა, ბუნებრივია, შეუძლებელია, ოჯახის წევრმა სურვილი გამოთქვას, რომ მეორე დღეს საკუთარი სურვილით მივიდეს საგამოძიებო ორგანოში.

მეორე დღეს გამოკითხვა არ დაფიქსირებულა. მხოლოდ ზეპირი გასაუბრება იყო. ამის შემდეგ გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ არასრულწლოვანი რამე სახის ჩვენებას არ აძლევდა საგამოძიებო ორგანოს.

მარიანა ჩოლოიანი არასრულწლოვანს ეკონტაქტება პოლიციის განყოფილებაში კამერების მეთვალყურეობის ქვეშ. არასრულწლოვანი მისი კანონიერი წარმომადგენლის თვალთახედვის არეში იმყოფებოდა. აღნიშნული ფაქტი ჩანაწერებით დასტურდება, — განაცხადა გვაზავამ.

რაც შეეხება არსებულ ინფორმაციას, რომ გამომძიებელი ჩოლოიანი არასრულწლოვანზე ზეწოლის მოხდენის შესახებ მიუთითებდა სხვებს და, შესაბამისად, სხვები ასრულებდნენ მის დავალებას, ადვოკატი განმარტავს, რომ „ეს არის მეორე მხარის პოზიცია, რომელიც ეწინააღმდეგება ისეთ უტყუარ მტკიცებულებას, რაც არის ვიდეოჩანაწერი“.

გუშინ, 18 დეკემბერს, მარიანა ჩოლოიანი მისმა სხვა ადვოკატმა, არჩილ შაბაშვილმა, მოინახულა.

ადვოკატის განცხადებით, მისი კლიენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა შერყეულია და ის კვლავ ექიმების მეთვალყურეობის ქვეშაა.

ჩოლოიანს კომუნიკაციაც უჭირს და აქვს ნევროზული ფონი.

— რა ინფორმაციაც მე მისგან მაინტერესებდა მიმეღო, მე ის ინფორმაცია მივიღე. ის გამორიცხავს თავის მონაწილეობას ამ ქმედებაში. მისთვის ბრალი არც წარუდგენიათ და მიაჩნია, რომ ამ საქმეში უდანაშაულოა. თუმცა მნიშვნელოვანია ამ საქმეში სკოლის წილიც.

სკოლის მიერ მოხდა იმ მტკიცებულებების მოპოვება, რომლებიც შემდეგ გადასცეს პოლიციის თანამშრომლებს გამოძახების შემდეგ. 112-ის გამოძახების შემდეგ, პოლიციის თანამშრომლები მივიდნენ ადგილზე, ადმინისტრაციამ დაახვედრა უკვე ამოღებული ვიდეოკადრები, ბავშვების ინფორმაცია, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო ამ კადრებზე აღბეჭდილი და ასევე დაახვედრა ბავშვებისგან მოპოვებული სქრინშოტები ანუ ბავშვების პირადი მიმოწერა. ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებ დეტალურად, — განაცხადა შაბაშვილმა.



მისივე თქმით, საპროცესო კოდექსი დაპირისპირებას არ ითვალისწინებს, შესაბამისად, ადვოკატი გამორიცხავს მოზარდების დაპირისპირებას საგამოძიებო მოქმედების დროს.

გარდა ამისა, როგორც ადვოკატი ამბობს, მოზარდი მშობლის გარეშე გამოკითხვაზე არ ყოფილა.

— როცა ბავშვს გაესაუბრა ხელმძღვანელი, მშობელი იყო 5 მეტრში. ალბათ, იქნება ამოღებული ვიდეომასალა, რაც განყოფილებაში არსებობს და შესაბამისად, იქიდან ნათელი გახდება, რეალურად რა ხდებოდა განყოფილებაში. ეს ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ როცა საქმის მასალებს გავეცნობი სრულად, შემდეგ ვისაუბრებ, — განაცხადა ადვოკატმა.

არჩილ შაბაშვილი არ გამორიცხავს, ბრალის წარდგენა, მისი დაცვის ქვეშ მყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, კლინიკაში მოხდეს.

*იპნ*

# კახა კოჟორიძე: „მარიანა ჩოლოიანი ყინწვისის სპეცოპერაციის საქმეშიც ფიგურირებს“



საზოგადოებრივი მოძრაობა „ლელოს“ ერთ-ერთი წევრის კახა კოჟორიძის განცხადებით, გამომძიებელი მარიანა ჩოლოიანი ყინწვისის სპეცოპერაციის საქმეშიც ფიგურირებს.

მისივე თქმით, აღნიშნულ საქმეში არსებობდა კითხვის ნიშნები იმის შესახებ, რომ ჩვენების მიღების მიზნით, ადგილი ჰქონდა ადამიანების წამებას.

— ჩემთვის ცნობილია ყინწვისის სპეცოპერაციის საქმე, რაზეც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება მიიღო და მხოლოდ ეს ამბავიც, ერთი კონკრეტული ამბავიც მიუთითებს სისტემურ პრობლემაზე.

როდესაც ამ გამომძიებელმა წლების წინ, გამოძიების პროცესში სისტემური გადაცდომები და დანაშაულები ჩაიდინა, იმის ნაცვლად, რომ სისტემას გამოეძიებინა, არც წინა და არც ამ ხელისუფლების დროს, ამის გამოძიება არ მოხდა. სწორედ ამიტომაც წავიდა ეს საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

კიდევ უფრო აღმაშფოთებელია ის, რომ მას შემდეგ, რაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება რამდენიმე თვის წინ, ეს ადამიანი კვლავ ინარჩუნებდა თავის პოსტს მანამ, სანამ ტრაგედია არ მოხდა.

ამ საქმეში იმთავითვე ძალიან დიდი კითხვის ნიშნები გაჩნდა, რომ აქ ჰქონდა ადამიანების წამებას ადგილი ჩვენების მიღების მიზნით და ამ საქმეში იმთავითვე იყო მთელი რიგი ხარვეზები, რითაც უფლებადამცველები იყვნენ დაინტერესებული, მაგრამ მინდა ხაზი გავუსვა, რომ ეს საქმე წინა ხელისუფლების დროს მოხდა და ამ ხელისუფლებამ აქ არანაირი გამოძიება არ ჩაატარა, — განაცხადა კახა კოჟორიძემ.

# დავით ქაცარავას ბრალი წაუყენეს

დავით ქაცარავას ბრალი წაუყენეს. ანტისაოკუპაციო მოძრაობის ლიდერს ძალადობაში ადანაშაულებენ.



საქმე ეხება მიმდინარე წლის 20 აგვისტოს სოფელ ხურვალეთში მომხდარ ინციდენტს, რომლის დროსაც ქაცარავასა და რამდენიმე ადგილობრივ მცხოვრებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.

მაშინ დაზიანებები დავით ქაცარავამაც მიიღო და საავადმყოფოში მოხვდა. დავით ქაცარავა ბრალდებებს უარყოფს და ხელისუფლებას პროვოკაციის მოწყობაში ადანაშაულებს.

შსს-ს ინფორმაციით, 2019 წლის 20 აგვისტოს გორის რაიონის სოფელ ბობნევში მდებარე საოკუპაციო ზოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოტანილ იქნა ბრალის დადგენილება. აღნიშნულის საფუძველზე, შსს-ს გორის რაიონულ განყოფილებაში ხ.ხ.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სსკ 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო დ.ქ.-ს საქართველოს სსკ 126-ე მუხლის პირველი ნაწილის დ და გ ქვეპუნქტებით. საქმეს იძიებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

# ბათუმში 23 წლის ნიკუშა ბუაძემ თავი მოიკლა

## „იმიტომ, რომ ბინა გაუყიდეს“

მომღერალი ქრისტინე მარტიაშვილი სოციალურ ქსელში წერს, რომ მისი მეგობრის ძმამ, ნიკუშა ბუაძემ, თავი მოიკლა.

როგორც ქრისტინე წერს, ეს ოჯახის მძიმე სოციალურმა ყოფამ განაპირობა. ნიკუშას თავი ტვირთად მიაჩნდა, რადგან ოჯახს ფინანსურად ვერ ეხმარებოდა.

გთავაზობთ ქრისტინეს სტატუსს:

„წადით ამ ქვეყნიდან!! ეს ქვეყანა ჩვენი არ არის! ნიკუშამ, ყველაზე პოზიტიურმა ადამიანმა, დღეს თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე! იცით, რის გამო?!!! იმიტომ, რომ ბინა გაუყიდეს!! იმიტომ, რომ სამსახური ვერ იშოვა! იმიტომ, რომ ქირას ძლივს იხდიდა! იმიტომ, რომ თავი ტვირთად მიაჩნდა! იმიტომ, რომ უამრავი იმიტომ! იმიტომ, რომ ეს ქვეყანა გვკლავს და გვახრჩობს!!! მეზიზღებით! კიდევ რამდენი ადამიანი უნდა შეიწიროს ამ ქვეყანამ?! დიახ, ქვეყანამ!! იმიტომ, რომ არ აძლევს სუნთქვის საშუალებას ხალხს, გაჭირვების გამო ხალხი თავს იკლავს!!!! მეზიიიზღებით! ძალიან მეზიზღებით!“

*ფორტუნა*



# თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ავტომობილს ცეცხლი გაუჩნდა

თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ავტომობილს ცეცხლი გაუჩნდა.



როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციის მართვის სამსახურიდან აცნობეს, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

სახანძრო-სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებმა ხანძრის ლიკვიდაცია მალე მოახერხეს.

# საქართველოში მიწისძვრა მოხდა



საქართველოში გუშინ, 18 დეკემბერს, მიწისძვრა მოხდა.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ეპიცენტრი სოხუმი, სოფელი ცუმური იყო.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, მიწისძვრის სიმძლავრე 3 მაგნიტუდას შეადგენდა.

მიწისქვეშა ბიძგები სოფელ ცუმურში გუშინ 13:25 წუთზე დაფიქსირდა.

# ავარია თბილისში

## დაიღუპა 23 წლის ახალგაზრდა



თბილისში, მეველის ქუჩაზე, ავტოსაგზაო შემთხვევას ქვეითი, 23 წლის ახალგაზრდა ემსხვერპლა.

შემთხვევა 17 დეკემბერს მოხდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს.

შსს-ს ცნობით, ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები, ტარდება ექსპერტიზა და დაკავებული ჯერჯერობით არავინ არის.

# კახეთში 84 წლის ერესტო ღულელაურის ცხედარი იპოვეს



კასრისწყალში 84 წლის მამაკაცის ცხედარი იპოვეს. სამართალდამცველებმა გარდაცვლილ ერესტო ღულელაურს სახლში მიაკვლიეს.

ერთ-ერთი ვერსიით, ხანდაზმული ჯერ დააყაჩაღეს, შემდეგ კი მოკლეს.

ადგილობრივების თქმით, ღულელაურმა რამდენიმე დღის წინ საქონელი გაყიდა. მათი ვარაუდით, ღულელაური სწორედ გაყიდვის შედეგად აღებული თანხის გამო დააყაჩაღეს.

მომხდარზე გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს.

გამოძიების ფარგლებში ცხედარს ყველა შესაბამისი ექსპერტიზა ჩაუტარდება.

# საბერძნეთი 10.000 ლტოლვილის თურქეთში დეპორტაციას გეგმავს



საბერძნეთი 2020 წელს დამატებით თავშესაფრის დაახლოებით 100.000 მაძიებელს ელოდება. ამის შესახებ მთავრობის მიგრაციის კომისარმა მანოს ლოგოთესისმა გერმანულ მედიას განუცხადა.

მისი თქმით, მდგომარეობა კრიტიკულია და სერიოზულ მიდგომებს საჭიროებს. მისივე განცხადებით, საბერძნეთის მთავრობა გეგმავს 10.000 მიგრანტის თურქეთში დეპორტაციას.

„დოიჩე ველეს“ ინფორმაციით, ბოლო 6 თვის განმავლობაში საბერძნეთში 45.000 ლტოლვილი ჩავიდა, რაც, ლოგოთესისის თქმით, უფრო კრიტიკული მდგომარეობაა, ვიდრე 2015 წლის მიგრანტთა კრიზისი.

2016 წლის 18 მარტს ევროკავშირმა და თურქეთმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, არარეგულირებული მიგრაცია თურქეთის გავლით ევროპაში უნდა შეჩერებულიყო.

შეთანხმების მიხედვით, თავშესაფრის მაძიებლები, რომლებიც საბერძნეთის ტერიტორიაზე თურქეთიდან მოხვდებიან, ექვემდებარებიან თურქეთში დეპორტაციას.

სანაცვლოდ, ევროკავშირი თურქეთს ფინანსურ მხარდაჭერას დაჰპირდა.

## კალეიდოსკოპი

# ეჭვიანი ცოლი ტაქსის მძღოლ ქმარს მანქანის საბარგულიდან უთვალთვალებდა



მექსიკის დედაქალაქ მეხიკოს მკვიდრი შვილთან ერთად მანქანის საბარგულში დაიმალა, რათა საკუთარი მეუღლისთვის ეთვალთვალა, რომელიც ტაქსის მძღოლად მუშაობს.

ეჭვიანი ცოლი ქმარს ღამის ცვლაში მუშაობის დროს უთვალთვალებდა. ტაქსის კლიენტი კრის ასტუდილიო მანქანით მგზავრობდა, როდესაც მძღოლს საბარგულიდან უცნაური ხმები შემოესმა. მძღოლმა მანქანა გააჩერა, საბარგული ახადა და იქ საკუთარი მეუღლე და შვილი დაინახა. ქალმა მას ყვირილა დაუწყო და შემდეგ მანქანის წინა სავარძელში გადაჯდა.

ასტუდილიომ მომხდარი გადაიღო და შემდეგ ფოტოსურათები ფეისბუქში გამოაქვეყნა.

– წარმოიდგინეთ, რომ თქვენ მიდიხართ ტაქსით და შემდეგ კი აღმოაჩენთ, რომ მძღოლის ცოლი იმისთვის, რომ ქმარს უთვალთვალოს, მანქანის საბარგულში იმალება! – დაწერა ფოტოსურათის კომენტარში ასტუდილიომ.

# ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის საზღვართან მოქალაქეებმა ერთმანეთს ქვები დაუშინეს



ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის საზღვართან დაპირისპირება მოხდა. ერთმანეთს ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის მოქალაქეები დაუპირისპირდნენ. ქვების სროლის შედეგად დაშავებული ადამიანები საავადმყოფოებში გადაიყვანეს.

კონფლიქტში დაახლოებით ყირგიზეთის 80 და ტაჯიკეთის 100 მოქალაქე მონაწილეობდა. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, ტაჯიკეთის მხრიდან იყო სროლაც, რის შედეგადაც ყირგიზი სამართალდამცველი დაიჭრა.

ყირგიზეთსა და ტაჯიკეთს შორის სადავო საზღვრის გამო ბოლო წლებში არაერთხელ მოხდა დაპირისპირება.

მიმდინარე წლის სექტემბერში შეიარაღებული დაპირისპირების დროს 3 ტაჯიკი და 1 ყირგიზი ჯარისკაცი დაიღუპა.

# სირიისა და რუსეთის ჯარებმა 22 სირიელი მოკლეს



რუსეთისა და სირიის სამთავრობო ძალების მიერ ჩრდილო-დასავლეთ სირიაში განხორციელებული საჰაერო დარტყმების შედეგად, სულ მცირე, 22 მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის რამდენიმე ბავშვი დაიღუპა.

სირიის სამოქალაქო თავდაცვის ინფორმაციით, რომელიც „თეთრი ჩაფხუტების“ სახელითაც არის ცნობილი, სამშაბათს რუსეთმა და სამთავრობო ძალებმა ათობით ქალაქსა და სოფელზე საჰაერო რეიდი განახორციელეს, რასაც ათობით ადამიანი ემსხვერპლა.

„თეთრი ჩაფხუტების“ წარმომადგენელ აბადე ზახარის თქმით, „დაბომბვის სამიზნე სამოქალაქო პირები იყვნენ, რომლებიც ცდილობდნენ, ქალაქები და სოფლები დაეტოვებინათ“.

სირიის ბაშარ ალ-ასადის რეჟიმი რუსეთის სამხედრო და ფინანსური მხარდაჭერით ცდილობს, კონტროლი მოიპოვოს სტრატეგიულ ავტომაგისტრალზე, რომელიც მის მიერ კონტროლირებად ქალაქებს აკავშირებს და რომელიც აჯანყებულების მიერ კონტროლდება.

სწორედ ამ მიზნით რუსეთისა და სირიის მთავრობის ძალები მიმდებარე ქალაქებსა და სოფლებზე საჰაერო დარტყმებს ახორციელებენ.

2011 წლიდან მოყოლებული, სირიის ომს ასობით ათასი ადამიანი შეეწირა. მილიონობით ადამიანი იძულებით გადაადგილებული პირია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# ჩინეთში ახალდაბადებული გოგონა მოიტაცეს და უშვილო ოჯახს მიჰყიდეს




ჩინეთში ეძებენ იმ გოგონას ბიოლოგიურ მშობლებს, რომელიც სამი წლის წინ მოიტაცეს და უშვილო ოჯახს მიჰყიდეს.

2016 წლის ნოემბერში უცნობმა ქალმა ხებეის პროვინციაში მცხოვრებ უშვილო წყვილს ახლად დაბადებული ბავშვის ყიდვა შესათავაზა. ისინი დათანხმდნენ და გოგონაში 70 ათასი იუანი გადაიხადეს. სამი წლის განმავლობაში წყვილი ბავშვს ისე ზრდიდა, როგორც საკუთარ შვილს.

როდესაც გაირკვა, რომ ბავშვი მოტაცებული იყო, მისი დედობილი, 32 წლის ჩჟან სიუი დააპატიმრეს, მიუხედავად იმისა, რომ არც მან და არც მისმა მეუღლემ არ იცოდნენ, რომ ის მოტაცებული იყო. მათ გაურკვეველი ვადით ბავშვის აყვანის უფლება ჩამოართვეს, გოგონა კი ჩამოართვეს და დროებით მოსავლელად სხვა წყვილს გადასცეს.

სიუის ოჯახს იმედი აქვს, რომ ბავშვის დაბრუნებას შეძლებენ.

– ჩვენ გვინდა, რომ ის ისევ საკუთარი შვილივით გავზარდოთ, მაგრამ, თუ მის ნამდვილ დედას იპოვიან, ჩვენ მას დავუბრუნებთ, – განაცხადა ჩჟან სიუის დედამთილმა, – ხოლო თუ ნამდვილ მშობლებს ვერ იპოვიან, მაშინ გვინდა, რომ ბავშვი ვიშვილოთ.

ოლქის სამოქალაქო ადმინისტრაციის ბიუროს ხელმძღვანელის მოადგილის ჩჟან ცზიყანის თქმით, თუ ბავშვის ბიოლოგიური მშობლების პოვნა 2020 წლის ბოლომდე არ მოხერხდება, გოგონას შვილად აყვანას მის დროებით მომვლელებს შესთავაზებენ.

# ძაღლმა პატრონები გააღვიძა და ცეცხლში დაღუპვისგან იხსნა



აშშ-ში ძაღლმა დროულად მოასწრო ხანძრის შესახებ თავისი პატრონების გაფრთხილება და ისინი დაღუპვას გადაარჩინა.

აღნიშნული ინციდენტი ამერიკის ჯორჯიის შტატში მოხდა. სახლის პატრონები ღამით ძაღლის, სახელად სემის ხმამაღალმა ყეფამ გააღვიძა და აღმოაჩინეს, რომ მათი სახლი ცეცხლის ალში იყო გახვეული. ოჯახის ყველა წევრმა დროულად მოასწრო ქუჩაში გამოსვლა და არც ერთი მათგანი არ დაშავებულა, თუმცა შინაური ცხოველების გადარჩენა ვერ მოხერხდა.

მეხანძრეებმა ხანძრის მიზეზად მოკლე ჩართვა დაასახელეს, რაც, თავის მხრივ, დენის ცვალებადობამ გამოიწვია. აალება სახლის უკანა ნაწილში მოხდა, თუმცა მალევე მთელ სახლს მოედო.

სახანძრო სამსახურის თანამშრომლებმა ძაღლის ფოტოსურათი ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსეს. თავისი პატრონების გადარჩენისთვის სემის ნამდვილი გმირი უწოდეს.

# გარყვნილი, რომელიც ქალის კაბის ქვეშ იჭვრიტებოდა, სასამართლოში აღმოჩნდა



სინგაპურში მამაკაცმა ქალის უნებართვოდ შეიჭვრიტა მისი კაბის ქვეშ და სასამართლო დარბაზში ამოჰყო თავი.

31 წლის ლეონგ საუ ჩანგი მუხლებამდე კაბაში გამოწყობილ ქალს აეკიდა, რომელიც სინგაპურისა და მალაიზიის საზღვრის მახლობლად მდებარე ავტობუსების სადგურში იმყოფებოდა. როდესაც ქალმა კიბეზე ასვლა დაიწყო. მამაკაცი მას უკან მიჰყვა და მობილური ტელეფონის დახმარებით ვიდეოზე გადაიღო მისი ფეხები და საცვალი. შემდეგ ის ესკალატორზე ქალის უკან გაჩერდა და მალულად კიდევ ერთი ჩანაწერი გააკეთა.

მამაკაცის საეჭვო ქცევას ყურადღება სასაზღვრო სამსახურის თანამშრომლებმა მიაქციეს. ერთ-ერთმა მათგანმა ჩანგს დაუწყო თვალთვალი, რომ მას მიმალვა ვერ მოეხერხებინა, სანამ მეორე ამის თაობაზე პოლიციელებს ესაუბრებოდა. გარყვნილი მამაკაცი დააკავეს და მის მობილურ ტელეფონში ორი ვიდეოჩანაწერი ნახეს, რომელიც მან კიბესა და ესკალატორზე ჩაიწერა.

ქალის ღირსების შებღალვის ბრალდებისთვის ჩანგს ფულადი ჯარიმა და ერთ წლამდე პატიმრობა ემუქრებოდა. სასამართლოზე მან დანაშაული აღიარა და ოთხი კვირით პატიმრობა მიესაჯა. გარდა ამისა, მას აღარ დაუბრუნებენ ტელეფონს, რომელიც ნივთმტკიცების სახით იქნა ამოღებული.

# მამაკაცს პიცის მაცივრიდან გამოღება ინვალიდობად დაუჯდა



დიდი ბრიტანეთის მკვიდრი მას შემდეგ დაინვალიდდა, რაც სუპერმარკეტის მაცივრიდან პიცის ამოღებას შეეცადა. მას დიდი მინის კარი დაეცა და ქვეშ მოიყოლა.

ინგლისის ლანკაშირის საგრაფოს 53 წლის მცხოვრები სტიუარტ კლეგი ცდილობდა, ერთ-ერთი ადგილობრივი სუპერმარკეტის მაცივრიდან გაყინული პიცა ამოეღო, რა დროსაც მას ორმეტრიანი მინის კარი დაეცა. ის იატაკზე დაეცა და ადგომას ველარ ახერხებდა.

კლეგის თქმით, მასთან სუპერმარკეტის რამდენიმე თანამშრომელმა მიირბინა და შემდეგ სასწრაფო დახმარება გამოიძახეს. დაშავებული მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მისთვის თავიდანვე დიაგნოზის დასმა ვერ მოხერხდა. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ მან კისრის მიბრუნების უნარი თითქმის დაკარგა და მუდმივად ტკივილებს განიცდის. ექიმებმა ბრიტანელს ხერხემლის ორ მალას შორის დაზიანებული ფირფიტა ამოუღეს. ამის გამო ის იძულებულია, რეგულარულად იაროს საავადმყოფოში ინექციის გასაკეთებლად, რომელიც მგრძნობელობას ამცირებს და კისრის ტკივილებს უმსუბუქებს.

ბრიტანელმა სუპერმარკეტის მფლობელების წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა, თუმცა საქმე წააგო და მხოლოდ კომპენსაციის სახით შვიდი ათასი ფუნტი სტერლინგის მიღება მოახერხა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


# განცხადებები

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცებისგაჯანსაღებისცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ყაზახები ვაისს არ ეშვებიან



საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ ვლადიმირ ვაისს კონტრაქტი 2020 წლის მარტის ბოლომდე აქვს, ანუ სანამ ერთა ლიგის დ დივიზიონის ფინალური ოთხეულის შეხვედრები არ დასრულდება, თუმცა, არის შანსი, სლოვაკმა სპეციალისტმა ეროვნული გუნდი მანამდე დატოვოს.

ამის მიზეზი კი ყაზახები იქნებიან – ნურსულთანის ასტანას ვაისის გადაბირება იანვარშივე სურს და სლოვაკ სპეციალისტთან მოლაპარაკებები უკვე დაიწყეს. ამის შესახებ ინფორმაციას ყაზახური მედია ავრცელებს.

– როგორც ჩანს, ასტანაში რომან გრიგორჩუკის წუთები დათვლილია. ასტანას ვლადიმირ ვაისის მიწვევა სურს. როგორც ჩანს, არც სლოვაკი მწვრთნელია იმ ქვეყანაში დაბრუნების წინააღმდეგი, რომელშიც საქართველოს ნაკრებში წასვლამდე მუშაობდა.

ვაისის ყაზახეთში დაბრუნებას ხელი შეიძლება იმან შეუშალოს, რომ მას 2020 წლის მარტის ჩათვლით საქართველოს ნაკრებთან მოქმედი ხელშეკრულება აკავშირებს და ფედერაცია არც აპირებს მის გაშვებას. მარტში საქართველოს ნაკრები ერთა ლიგის ფლეი ოფში ითამაშებს და ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის რეალური შანსი აქვს. ლოგიკურია, ასეთ მატჩებამდე რამდენიმე თვით ადრე ფედერაცია მის გაშვებას არ გეგმავს.

თუმცა, თუ ასტანა ვაისს კარგ კონტრაქტს შესთავაზებს, ხოლო ყაზახური გუნდი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას კომპენსაციას გადაუხდის მწვრთნელის კონტრაქტის დარღვევისთვის, ამ შემთხვევაში ვლადიმირ ვაისს ასტანაში მუშაობა იანვრიდანვე შეეძლება, – წერს ყაზახური მედია.

ვლადიმირ ვაისი 2012-15 წლებში ალმათის ქაირათის მწვრთნელი იყო და ამ დროის განმავლობაში ყაზახურ კლუბთან ერთად ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი და ქვეყნის თასის გამარჯვებული გახდა.

# შერმადინს ვერ აჩერებენ, ბასკონიას ცუდი დროება უდგას



გიორგი შერმადინმა ზეშედეგიანი თამაში ჩაატარა ფიბა-ს ჩემპიონთა ლიგაში, სადაც ესპანური იბეროსტარ ტენერიფეს ქართველ ცენტრს ვერ აჩერებენ. შერმადინს ჩერნოგორიულ მორნართან მატჩში სულ რაღაც 18 წუთი დასჭირდა, 22 ქულა მოეგროვებინა და მატჩის საუკეთესო მოთამაშე გამხდარიყო.

მხოლოდ ქულები არ არის ის, რაც გიორგიმ უხვად აგროვა. ტენერიფელთა ქართველმა ცენტრმა 8 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 პასი, 1 დაფარება მიითვალა და, რაც მთავარია, მაღალი პროცენტულობით ესროლა. შერმადინმა 12-დან 9 ორქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო და სარგებლიანობის კოეფიციენტი 31-მდე აიყვანა. ამ მაჩვენებელში ყველაზე „ახლოს" ქართველთან მისი თანაგუნდელი მარცელინიო უერტასი მივიდა, რომელმაც 12 ქულა, 9 პასი და სარგებლიანობის ინდექსის 20 ერთეული დააგროვა.

რაც შეეხება მატჩის შედეგს, შერმადინის გუნდმა მორნარი 91:61 დაჩაგრა. იბეროსტარს 8 მოგების წილ 1 მარცხი გააჩნია და თავის ჯგუფს ხომ ლიდერობს, მთელს ჩემპიონთა ლიგაზე საუკეთესო შედეგი აქვს. შემდეგ მატჩს შერმადინის გუნდი უკვე მომდევნო წელს პერისტერისთან, ათენში გამართავს.

სამწუხაროდ, წელს ცუდად გამოიყურება თორნიკე შენგელიას ბასკონია. გუნდი ვერც ესპანეთში ჩემპიონატში გამოიყურება რიხიანად და ვერც ევროლიგაზე.

„ბებერი კონტინენტის" ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე შენგელიას ბასკონია სტუმრად ვალენსიასთან 77:105 განადგურდა. შენგელია სასტარტო შემადგენლობაში იყო და თავისიანთაგან ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი დააფიქსირა.

შენგელიამ 24 წუთში 15 ქულა, 8 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა, შემდეგ კი 5 ფოლით დატოვა მოედანი. მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი – 16, გუნდში მეორე იყო. იგივე შედეგი აჩვენა პიერია ანრიმ, ხოლო საუკეთესო შეივონ შილდსი გახდა 22 ქულითა და 7 მოხსნით.

ბასკონიას, ისევე, როგორც ვალენსიას, 14-დან 6 მოგება და 8 მარცხი აქვს და ფლეი ოფის ზონის მიღმა, მე-10 საფეხურზე იმყოფება. მომდევნო ტურში ბასკონიას ისევ თანამემამულეებთან უწევს შეხვედრა – რეალს უმასპინძლებს.

# საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონთან დამარცხდა



საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები მსოფლიო ლიგის გათამაშებაში ჩაება. ა ჯგუფში რევაზ ჩომახიძის გაწვრთნილი გუნდის მეტოქეები იტალიისა და საბერძნეთის ნაკრებები არიან. საქართველოს ნაკრებმა პირველი შეხვედრა იტალიის ქალაქ ჩივიტავეკიაში მასპინძლებთან გამართა და დიდი ანგარიშით დამარცხდა – 3:14.

მსოფლიოს ჩემპიონთა ჩომახიძის გუნდმა პირველ მეოთხედში გაიბრძოლა, რომელიც მხოლოდ 0:1 დათმო. ამის შემდეგ კი ფავორიტის უპირატესობა აშკარა იყო, იტალიამ ტაიმი 7:2 მოიგო. საქმის ბოლომდე მიყვანა პლანეტის უძლიერეს გუნდს აღარ გასჭირვებია.

ქართველთა სამი გოლიდან ორი ზურაბ რურუას ანგარიშზეა, ერთიც დამირ ცრეპულიამ გაიტანა. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს კარში 6 გოლი ფრანჩესკო დიფულვომ გაიტანა.

ჩვენთვის ეს პირველი მატჩი იყო, ჯგუფში კი – მეორე ტურის. პირველ ტურში იტალიამ საბერძნეთი სტუმრად 9:6 დაამარცხა. 2020 წლის 20 თებერვალს საქართველო საბერძნეთს ეთამაშება.

იტალიელებთან საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: შუბლაძე, ქავთარაძე, ცრეპულია (1), იმნაიშვილი, ბითაძე, ელაჩა, ჯახაია, ბაღათურია, რურუა (2), მაგრაქველიძე, შუშიაშვილი, ადეიშვილი, რაზმაძე.

# არსენალი არტეტასთან ერთად გაისვრის




მიკელ არტეტა ლონდონის არსენალის მწვრთნელი გახდა. კონტრაქტი 3.5 წელიწადზე გაფორმდა და ესპანელი სპეციალისტი წელიწადში 5 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

როგორც ბრიტანული პრესა წერს, ლონდონის არსენალის მეპატრონე ჯოშ კრონკე მოლაპარაკებისთვის აშშ-დან ინგლისში ჩაფრინდა, არტეტას შეუთანხმდა და უკანვე დაბრუნდა. უკვე შაბათს, ევერტონის წინააღმდეგ პრემიერლიგური მატჩისას, არსენალს სწორედ არტეტა უხელმძღვანელებს.

აქამდე არტეტა მანჩესტერ სიტის მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდა და დამოუკიდებლად არასდროს გასძღოლია გუნდს. ითქვა ისიც, რომ არსენალის ხელმძღვანელობა არტეტას ასისტენტების არჩევაში არ ჩაერევა. ესპანელი კი დახმარებას თავის თანამემამულეს, ბარსელონაში გვარდიოლასა და ლივერპულში რაფა ბენიტესის მარჯვენა ხელს, როდოლფო ბორელს სთხოვს.

არტეტას მისვლამდე „მეთოფეებს" ასევე ესპანელი უნაი ემერი თავკაცობდა, რომელიც ცუდი შედეგების გამო კლუბიდან 3 კვირის წინ დაითხოვეს და მის ნაცვლად საკლუბო საჭე დროებით მისსავე თანაშემწე ფედერიკ ლიუნგბერგს ანდეს, რომლის ხელშიც არსენალმა ხუთი მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ერთი მოიგო. განსაკუთრებით მწარედ კი შინ სწორედ გვარდიოლასა და არტეტას სიტისთან დამარცხდა – 0:3.

ეს ბოლო წვეთი იყო, ახლა საქმეს არტეტა გააგრძელებს.

# ფარული კამერა ქალს ქურდბაცაცა მეგობრის მხილებაში დაეხმარა



ბრიტანეთის ისტ-რაიდინგ-ოფ-იორკშირის საგრაფოს ქალაქ კინგსტონ-აპონ-ჰალის მცხოვრებს ფარული კამერა დაეხმარა თავისი საუკეთესო მეგობრის მხილებაში, რომელიც ქურდბაცაცა აღმოჩნდა.

გასული წლის ბოლოს 27 წლის სამანტა ვუდმა შენიშნა, რომ ფული ეკარგებოდა. როდესაც მის მიერ გადანახული 200 ფუნტი სტერლინგიდან მხოლოდ 40 ფუნტიღა დარჩა, მან ინტერნეტით სათვალთვალო კამერა შეიძინა და სამზარეულოში ტოსტერის უკან დააყენა.

ვიდეოჩანაწერმა აჩვენა, რომ ფულს მას მისი კარგი ნაცნობი მელისა კოლიე ჰპარავდა. როდესაც ვუდი გავიდა, მან მის ხელჩანთაში ჩაიხედა, მერე იქიდან რამდენიმე კუპიურა ამოიღო და საკუთარ ბიუსტჰალტერში დამალა.

– მისთვის ცნობილი იყო, რომ მე მარტოხელა დედა ვარ და ფული ძლივს მყოფნის თავის გასატანად, – ამბობს ვუდი, – ის ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო, არაფერს ვუმალავდი, ის კი ადგა და გამქურდა. იქამდე მიმიყვანა, რომ გადასახადები ველარ გადავიხადე.

როდესაც ვუდმა პოლიციას მიმართა, გაირკვა, რომ კოლიე სხვა დანაშაულშიც იყო ეჭვმიტანილი. მას სხვის შენობაში უკანონოდ შეღწევის ხუთი შემთხვევა ედება ბრალი. სასამართლოზე ქალმა აღიარა მეგობრისთვის ფულის მოპარვის ფაქტი. ვუდის თქმით, მხილების შემდეგ კოლიემ მას ათეულობით ბოდიშის წერილი გაუგზავნა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# შედეგები

**17 დეკემბერი**

**ფეხბურთი**

**მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი**

ფლამენგო-ალ ჰილალი ..................... 3:1

**ინგლისი. ლიგის თასი**

ასტონ ვილა-ლივერპული .............. 5:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ვერდერი-მაინცი ............................. 0:5

აუგსბურგი-ფორტუნა ..................... 3:0

დორტმუნდი-ლაიფციგი .................. 3:3

უნიონი-ჰოფენჰაიმი ........................ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლაიფციგი | 16 | 10 | 4 | 2 | 44-19 | 34 |
| 2.გლადბახი | 15 | 10 | 1 | 4 | 31-18 | 31 |
| 3.დორტმუნდი | 16 | 8 | 6 | 2 | 40-22 | 30 |
| 4.შალკე | 15 | 8 | 4 | 3 | 26-18 | 28 |
| 5.ბაიერნი | 15 | 8 | 3 | 4 | 41-21 | 27 |
| 6.ფრაიბურგი | 15 | 7 | 4 | 4 | 24-18 | 25 |
| 7.ლევერკუზენი | 15 | 7 | 4 | 4 | 22-20 | 25 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 16 | 7 | 3 | 6 | 23-27 | 24 |
| 9.ვოლფსბურგი | 15 | 6 | 5 | 4 | 17-15 | 23 |
| 10.აუგსბურგი | 16 | 6 | 5 | 5 | 27-28 | 23 |
| 11.უნიონი | 16 | 6 | 2 | 8 | 19-22 | 20 |
| 12.აინტრახტი | 15 | 5 | 3 | 7 | 24-23 | 18 |
| 13.მაინცი | 16 | 6 | 0 | 10 | 25-38 | 18 |
| 14.ჰერტა | 15 | 4 | 3 | 8 | 21-29 | 15 |
| 15.ვერდერი | 16 | 3 | 5 | 8 | 23-40 | 14 |
| 16.ფორტუნა | 16 | 3 | 3 | 10 | 16-35 | 12 |
| 17.პადერბორნი | 15 | 2 | 3 | 10 | 18-33 | 9 |
| 18.კიოლნი | 15 | 3 | 2 | 10 | 14-30 | 11 |

**საფრანგეთი. ლიგის თასი**

რეიმსი-მონპელიე ............................ 1:0

მონაკო-ლილი .................................. 0:3

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



## ფირუზ კანთელაძის გახსენება

ჩვენო ფირუზ, ჩვენო ლამაზო და საამაყო მეგობარო, სახელოვანო სპორტსმენო, 40 დღე გავიდა, რაც სამუდამოდ დაგვტოვე, მაგრამ შენი ახლობლების, ნათესავებისა და მეგობრების მეხსიერებაში ყოველთვის დარჩები. დამწუხრებული არიან თბილისის „დინამოს" ვეტერანები.

შენი სული ზეცაშია, სხეულით კი მიხვედი შენს ლამაზ მშობლებთან. მსუბუქი ყოფილიყოს ქართული მიწა შენთვის!

*მეგობრები*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. „ფორმულა-1"-ში მონაწილე მექსიკელი ავტომრბოლელი; 2. „ვეფხისტყაოსნის" დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 3. ულრანი, გაუვალი ტყე; 4. მაკედონიის დედაქალაქი; 6. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 9. ანტონიო გაუდის მიერ დაპროექტებული პოპულარული პარკი ბარსელონაში; 11. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. ფედერიკო ფელინის მხატვრული ფილმი; 16. მწვანით მოსილი, წყლიანი ადგილი უდაბნოში; 17. სავაჭრო სპეკულაციებით გამდიდრებული ადამიანი; 19. ჩრდილოეთ ირლანდიის ისტორიული სახელწოდება; 21. უმცროს მეთაურთა სამხედრო ჩინი არმიაში; 22. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში.

**თარაზულად:** 5. მადერას ტიპის ღვინოების დასამზადებლად გამოყენებული პორტუგალიური ვაზის ჯიში; 7. საქართველოში გავრცელებული ძვირფასი წითელმერქნიანი წიწვოვანი ხე; 8. კომპანია „ყაზბეგის" დამფუძნებელი; 10. ჭაობში ბინადარი სისხლისმწოველი ჭია; 12. ფულის ერთეული ჩინეთში; 13. დაბა სიღნაღის რაიონში; 14. ნახევარკუნძული ევროპაში; 18. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 20. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 23. მდინარე სვანეთში; 24. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 25. ბუღალტრული ბალანსის ნაწილი ვალებისა და ვალდებულებების შესახებ; 26. თხუნელას მეორე სახელწოდება; 27. უმოტორო თვითმფრინავი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ვიში; 2. ვერდი; 3. მთიები; 5. ომალო; 6. ჩუქურთმა; 8. ცისარტყელა; 10. ანარქია; 12. რეზიუმე; 14. მოსტრა; 15. სევანი; 16. წყალი.

**თარაზულად**: 1. ვლტავა; 4. მოდრიჩი; 7. პურადი; 9. ბოგოტა; 11. ქსენონი; 12. რექვიემი; 13. კრუიზი; 17. ბრონტე; 18. ლემა; 19. ამპლიტუდა; 20. პარიტეტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ობლიგო; 2. სარკე; 3. ილიადა; 4. ფოლადი; 6. პოდიუმი; 9. სანტე; 11. ველვეტი; 15. ხორნაბუჯი; 16. სატივე; 17. მისისიპი; 19. ამანათი; 21. მაქმანი; 22. გრინგო.

**თარაზულად**: 5. აბაკელია; 7. ორაგული; 8. ალპები; 10. ბარბერი; 12. დურდო; 13. უწერა; 14. კატეხიზმო; 18. ლავრა; 20. საცივი; 23. ურნალი; 24. ქუჯი; 25. დავოსი; 26. გაჯი; 27. ინსულტი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


19 დეკემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9055

ევრო — 3.2356

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8082

100 რუსული რუბლი — 4.6357

## ამინდის პროგნოზი 19 დეკემბერი







## 17 დეკემბრიდან

ოტია იოსელიანი

## მუხლებზე დაწერილი და მტრედებს გამოტანებული ბარათები

## ფასი გაზეთთან ერთად 9,5 ლარი

## პეტრე კოლხი: „ბავშვებო, არავის, არაფრის გამო არ ღირს თავის მოკვლა“



მამა პეტრე კვარაცხელია, იგივე პეტრე კოლხი, მოზარდებს არწმუნებს, რომ არავის და არაფრის გამო არ ღირს თავის მოკვლა:

– ბავშვებო, არავის, არაფრის გამო არ ღირს თავის მოკვლა. ეს არ არის გამოსავალი. გაუძელით ყველა ზეწოლას, აგრესიას, ძალადობას გაუძელით და თავი დააღწიეთ. არ დამძიმდეთ, არ გახდეთ მსხვერპლი მედროვეების, პირმოთნეების, სულგაყიდულების, არაადამიანების.

ღმერთს მიმართეთ, უფალს მიენდეთ, ილოცეთ, სხვა გამოსავალზე იფიქრეთ... მეტი წიგნი იკითხეთ.

ანა ფრანკი მეტს უძლებდა, მეტი გადაიტანა.

შეცდომა დაუშვით?! აღიარეთ და გამოასწორეთ. ვითომ საზოგადოების, ვითომ ადამიანების, სინამდვილეში არამკითხე ციციკორეების გამო სახურავიდან, ფანჯრიდან, ხიდიდან, საკუთარი თავიდან არ გადმოხტეთ. სიცოცხლეს უმადურად არ გადააბიჯოთ.

გააპროტესტეთ, იხმაურეთ, ისაუბრეთ, ამხილეთ, მაგრამ თავი არ მოიკლათ.

ბავშვებო, ყველაზე დიდო ადამიანებო!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*



პატარა, ლამაზ და საოცრად გონიერ

**ანასტასია პატარიძეს**

დაბადებისა და ნიკოლოზობის დღეს ვულოცავთ.

საყვარელო, გისურვებთ ჯანმრთელ და დღეგრძელ სიცოცხლეს.

შენი თანამგზავრი იყოს უამრავი სიხარული, ბედნიერება, წარმატებული სწავლა. გფარავდეს უფალი, ღვთისმშობელი დედა, წმინდა ნიკოლოზი და ყველა სალოცავი!

*შენი ოჯახი*



## ასტროპროგნოზი

19 დეკემბრისათვის



**ვერძი** – საკუთარ ჯანმრთელობას ყურადღებით მოეკიდეთ. ზომიერად დაკავდით სპორტით. **კურო** – საქმიანი კონტაქტებისათვის შესაფერისი დრო არ არის. ახალი ნაცნობობა ნეგატიურ შედეგს გამოიღებს. **ტყუპები** – მიზნის მიღწევისთვის საბრძოლველად არაკეთილისმყოფელი დღეა. ერიდეთ სარისკო ფინანსურ ოპერაციებს. **კირჩხიბი** – დღეს ყველაზე არასასიამოვნო, რაც კი შეიძლება შეგემთხვეთ, ახლობელთან კამათი იქნება. მთლიანობაში, პოზიტიური პერიოდია. **ლომი** – ნებისმიერ დაბრკოლებას გადალახავთ, რაშიც თქვენი ენერგიულობა და პრინციპულობა დაგეხმარებათ. **ქალწული** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა ახალი საქმის დასაწყებად, შემოქმედებითი არეალის გასაფართოებლად. **სასწორი** – დაგროვილი ყოფითი პრობლემები დაუყოვნებლივ მოაგვარეთ, საღამოს კი გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე, გაერთეთ მეგობრებთან ერთად. **ღრიანკალი** – თუ გონიერი ადამიანის რჩევას არ გაითვალისწინებთ, დაზარალდებით. შინაგან დაძაბულობას თავს მარტივად ვერ დააღწევთ. **მშვილდოსანი** – აქტიურად დაისვენეთ. მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა სასარგებლო იქნება. **თხის რქა** – ენთუზიაზმით ხართ სავსე. გსურთ, ყველა საქმე ერთბაშად გააკეთოთ. ბედი გწყალობთ. **მერწყული** – საქმიანი შეხვედრები წარმატებას მოგიტანთ. ცივი გონებით იმოქმედეთ. **თევზები** – პირად ცხოვრებაში პრობლემები შეგექმნებათ. მეტი დრო დაუთმეთ ბავშვებთან ურთიერთობას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ჩემი ქმრის ტელეფონში აღმოვაჩინე კონტაქტი „უფასო სექსი“...

– მერე, რა ქენი?

– იმ ნომერზე დავრეკე, და ჩემი ტელეფონის ზარის ხმა რომ გაისმა, კინაღამ სკამიდან გადმოვვარდი... ნაძირალა!

●●●

ქალი ექიმს ურეკავს:

– ალო, ექიმო, ჩვენმა ბავშვმა ცოცხალი თაგვი გადაყლაპა!

– ახლავე გამოვდივარ. მანამდე კი პირი ფართოდ გააღებინეთ და ყველის ნაჭერი დაიჭირეთ, იქნებ თაგვი თავისით გამოვიდეს.

ადგილზე მისული ექიმი ხედავს, რომ დედა პირდაფჩენილი ბავშვის წინ ხამსას აქნევს აქეთ-იქით.

ექიმი:

– რას აკეთებთ, მე ხომ გითხარით, რომ ყველის ნაჭრით უნდა გეცადათ...

– ჰო, მაგრამ ახლა უკვე კატის გამოტყუებას ვცდილობთ...

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– ლამარა, შენი ქალიშვილი ისევ თეთრ ბენტლიზე ამხედრებულ პრინცს ელოდება?

– ეჰ, მთავარია, კარგი ყმაწვილი იყოს და რა მნიშვნელობა ექნება, რა ფერის ბენტლი ეყოლება.

●●●

ქალი კაცს ეუბნება:

– მოწყენილი ხართ, გართობას ხომ არ ისურვებდით?

კაცმა საგულდაგულოდ შეათვალიერა და უპასუხა:

– არც იმდენად...

●●●

ფემინისტური ორგანიზაციის თავყრილობაზე მორიგი ორატორი ქალი სიტყვით გამოდის და ემოციურად აცხადებს:

– რას გააკეთებდნენ მამაკაცები ჩვენი ქალების გარეშე?! ჰა, აბა, რას გააკეთებდნენ უჩვენოდ?! მე თქვენ გეკითხებით...!

ამ დროს დარბაზიდან მამაკაცის ხმა:

– რას, რას? რას და ბანანებისა და ქოქოსების ჭამით იქნებოდნენ დაკავებული, სამოთხეში...!!!

●●●

ბავშვი მამას ეუბნება:

– მამიკო, რატომ იღებ ჩემს სათამაშოებს? ჯერ დიდი ხარ, როდესაც პატარა გახდები, მერე აიღე...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პოლ პოგბას დაბრუნება კვლავ გადაიდო



მანჩესტერ იუნაიტედის ერთ-ერთი ლიდერი პოლ პოგბა კვლავ ვერ ახერხებს მოედანზე დაბრუნებას. ამჯერად მიზეზი ვირუსია, რომლის გამოც პოგბას ორი კვირა მოუწევს უქმობა. ფრანგი ნახევარმცველი ბოლოს მოედანზე ნოემბრის შუა რიცხვებში გამოვიდა და მას შემდეგ ის ტრავმას იშუშებდა, ამჯერად კი პოგბას ხელი ვირუსმა შეუშალა.

არსებობს მოსაზრება, რომ პოგბას მანჩესტერ იუნაიტედიდან წასვლა სურს და სპეციალურად არ ბრუნდება, თუმცა ოლე გუნარ სოლსკიაერმა ეს ყველაფერი უარყო და თქვა, რომ პოგბა არსად არ წავა და გუნდში დარჩება.

## კონტე ზამთარში რამდენიმე ფეხბურთელის ყიდვას აპირებს



მილანის ინტერის მთავარი მწვრთნელი ანტონიო კონტე ზამთარში თავისი გუნდის გაძლიერებას აპირებს და, შესაძლოა, 100 მილიონზე მეტიც დახარჯოს ტრანსფერებში. ინტერის მთავარი სამიზნე ბარსელონის ხორვატი ნახევარმცველი ივან რაკიტიჩია, რომელმაც, შესაძლოა, ზამთარში კატალონიური გუნდი დატოვოს.

გარდა ამისა, ინტერს შემტევი ნახევარმცველის ყიდვას სურს, რადგან ამ პოზიციაზე გუნდს პრობლემები აქვს.

ინტერი ამჟამად იუვენტუსთან ერთად იტალიის ჩემპიონატის პირველ ადგილზე იმყოფება.

## ფრენკი დე იონგი: „მესი სხვებს ბევრად აღემატება“



ბარსელონის ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ფრენკი დე იონგმა ლიონელ მესიზე ისაუბრა და თქვა, რომ მას არ უკვირს, როდესაც მესის შეხვედრაში სამი გოლი გააქვს.

დე იონგის აზრით, მესი მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელია და ის სხვებს ბევრად აღემატება:

– საერთოდ არ მიკვირს, როდესაც ლეოს ბევრი გოლი გააქვს, რადგან მე მას ვუყურებ ვარჯიშებზე და მასთან ვერც ერთი ფეხბურთელი ახლოსაც ვერ მივა. ლეო გენიოსია.

## ასტონ ვილამ ლივერპულის ბავშვებს 5:0 მოუგო




ინგლისის ლიგის თასზე ასტონ ვილამ საკუთარ მოედანზე ლივერპულის მეორე შემადგენლობა მიიღო და 5:0 გაანადგურა. ლივერპულის ძირითადი ფეხბურთელები ამჟამად ყატარში იმყოფებიან, სადაც მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი მიმდინარეობს, ამიტომ ასტონ ვილას მხოლოდ ახალგაზრდა ფეხბურთელები დაუპირისპირდნენ. მიუხედავად ამისა, მატჩის შედეგი მაინც მოულოდნელი იყო.

ასტონ ვილა ნახევარფინალში გავიდა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## თიკა ფაცაცია: „სასწრაფოდ გადასამზადებელია ყველა!“



მომღერალი თიკა ფაცაცია აცხადებს, რომ სასწრაფოდ გადასამზადებელია ყველა და ყველაფერი, რასაც და ვისაც მოზარდებთან წვდომა აქვს:

– წარწერა კედელზე იყო ძახილი დახმარებისთვის. მეტი ხმამაღლა რა ეყვირა? ვერავინ, ვერც ერთმა სტრუქტურამ, რომელიც იდეაში ბავშვის დამხმარე და მისი საჭიროებისა თუ უსაფრთხოების დამცველი უნდა ყოფილიყო, ვერ გაიგოოო. მეტიც... და ლუკა აღარ არის.

სასწრაფოდ გადასამზადებელია ყველა და ყველაფერი, რასაც და ვისაც მოზარდებთან აქვს წვდომა. მეტი სიფრთხილე, მეტი ზრუნვა და მეტი ცოდნა, საბჭოთა მიდგომები კლავს!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## პლაჟზე ფოტოსურათის გადასაღებად ახალი პოზა შეირჩა



ავსტრალიელმა ბლოგერებმა პლაჟზე ფოტოსურათის გადასაღებად ახალი პოზა გაამხილეს, რომელიც სხეულს ვიზუალურად უფრო დახვეწილად და სრულყოფილად წარმოადგენს.

საუბარია ე.წ. სამკუთხედის პოზაზე. ნავარაუდევია, რომ მოდელი ასეთ მდგომარეობაში ზურგს უფრო მეტად ასწორებს და თავისუფლად იდებს ხელს კეფაზე. ამგვარად წარმოიქმნება ისეთი გამოსახულება, რომელიც ვიზუალურად აგრძელებს სხეულს და ყველაზე მოხერხებული კუთხით წარმოაჩენს სხეულის ყველა ნაწილს.

გარდა ამისა, შესაძლებელია პოზის სრულყოფა, მაგალითად, მის მჯდომარე მდგომარეობაში ან ორივე ხელის მაღლა აწევით გამოყენება. აღსანიშნავია, რომ კიდევ უფრო მეტი დახვეწილობისა და გრძელი ფეხების ეფექტის მიღწევა შესაძლებელია, თუ სურათის გადაღების დროს გოგონას მაღალწელიანი ბიკინი ეცმევა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პოპულარული, არომატული, მატონიზირებელი სასმელი; 2. დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 3. პატარა არია ოპერაში; 5. მდინარე ქციას სახელწოდება ქვედა დინებაში; 6. რაიონული ცენტრი გურიაში; 8. ურთიერთდათმობით მიღწეული შეთანხმება; 10. „ვეფხისტყაოსნის“ პროზაულად მთარგმნელი ბრიტანელი ქართველოლოგი; 12. ძველ რომში მოხელე, რომელიც აწარმოებდა მოქალაქეთა ქონების შეფასებას და აკონტროლებდა მათ მიერ გადასახადების გადახდას; 14. კომპანია „ზარას“ მფლობელი; 15. თეატრალური სცენის გასანათებელი პროჟექტორი; 16. საოლქო ცენტრი უკრაინაში.

**თარაზულად:** 1. ხურდა ფული თურქეთში; 4. მიწაში ბინადარი ცხოველი; 8. ხორბლის, მარცვლეულის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 9. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. წყალხმელეთა ცხოველი; 12. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე ტყიბულის რაიონში; 13. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 17. დეკორატიულ-მხატვრული სტილი ევროპულ არქიტექტურაში; 18. საქართველოში გავრცელებული ვაზის ფრანგული ჯიში; 19. შვედური კოსმეტიკური ფირმა; 20. ტბა პერუ-ბოლივიის საზღვარზე.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

